გოგონები საზაფხულო კაბებში

ამერიკული მოთხრობები

თბილისი

2012

ინგლისურიდან თარგმნა

სოფიკო დაუშვილმა

წიგნში შესული სოფიკო დაუშვილის თარგმანები გამოქვეყნებულია ჟურნალებში: “ჩვენი მწერლობა” N7, N9, N26 _ 2010 წელი, N13 _ 2011 წელი; “ლიტერატურა და ხელოვნება” N1 _ 2010 წელი.

წიგნი გამოიცა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეცნიერო დეპარტამენტის რეკომენდაციით და შუამდგომლობით.

©კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 2012

ISBN 978-9941-0-5100-5

The Girls in Their Summer Dresses
AMERICAN SHORT STORIES

Translation - Sofiko DauShvili

სარჩევი

ირვინ შოუ. გოგონები საზაფხულო კაბებში;

ჯორჯ ეიდი. ეფი ვითლესი;

დოროთი პარკერი. რესპუბლიკის ჯარისკაცები;

რინგ ლარდნერი. მოხუცთა ქრისტეშობა;

უილიამ კარლოს უილიამსი. დუელი;

ჯეიმს ტარბერი. მისტერ ფრებლი ცოლს გაურბის;

ო. ჰენრი. “გოგონა”;

ო. ჰენრი. საქმით გათანგული ბროკერის ქორწინების ამბავი.

ირვინ შოუ

ირვინ შოუ (1913 _ 1984) ამერიკელი მწერალი, დრამატურგი, სცენარისტი, რომანისტი, მოთხრობების ავტორი.

ირვინ გილბერტ შამფოროფი დაიბადა ნიუ-იორკში რუსეთიდან ემიგრირებულ ებრაელთა ოჯახში. მალე ოჯახი საცხოვრებლად ბრუკლინში გადავიდა, სადაც ირვინმა კოლეჯში შესვლისას გვარი შეიცვალა.

შოუმ სცენარებისა და რადიოპიესების წერა 21 წლის ასაკში დაიწყო.

ირვინ შოუს სახელი გაუთქვა პირველმა რომანმა "ახალგაზრდა ლომები", რომელიც გამოქვეყნდა 1949 წელს. რომანი, მეორე მსოფლიო ომში, შოუს ამერიკის შეერთებული შტატების არმიაში მსახურობისას მიღებულ რეალურ გამოცდილებას ეყრდნობა. 1958 წელს რომანის მიხედვით ფილმი გადაიღეს. მიუხედავად იმისა, რომ ეკრანიზება ტექსტის ადეკვატური იყო, შოუს ფილმი არ მოეწონა.

კრიტიკისა და მკითხველის მაღალ შეფასებას იმსახურებდა ასევე შოუს მოკლე მოთხრობები.

გახმაურებული ანტიკომუნისტური პუბლიკაციის "წითელი არხები" შემდეგ შოუ მცდარად დაადანაშაულეს კომუნისტურ მრწამსში და ჰოლივუდის შავ სიაში შეიტანეს.

1951 წელს შოუ ამერიკიდან ევროპაში გადავიდა და ძირითადად პარიზსა და შვეიცარიაში 25 წელი იცხოვრა.

ირვინ შოუს მიღებული აქვს რამდენიმე პრესტიჟული პრემია.

გოგონები საზაფხულო კაბებში

თებერვალი იდგა, არადა, თაკარა მზე აცხუნებდა. ყველაფერი კვირა დღის შესაფერისად გამოიყურებოდა: ქუჩებში ნაირგვარ სამოსში გამოწყობილი ადამიანები დასეირნობდნენ, ავტობუსები გზებზე მოძრაობდა, დახურულსარკმლიანი შენობები კი გარემოს სიმშვიდეს ჰმატებდნენ.

მაიკლს ფრენსისის ხელი ჩაებღუჯა, _ სახეზე ღიმილი ეფინათ და ვაშინგტონის პარკისკენ მშვიდად მიუყვებოდნენ. მშვენიერ განწყობაზე კი იმიტომ იყვნენ, რომ დილით კარგად გამოიძინეს, მადიანად ისაუზმეს და, რაც მთავარია, კვირა დღეEიყო. მაიკლმა ქურთუკი შეიხსნა, _ ასე თავი უკეთ იგრძნო. საამოდ ქროდა ქარი.

_ ფრთხილად, კისერი არ წაიმტვრიო! _ თქვა ფრენსისმა, როცა მერვე ქუჩაზე გადადიოდნენ.

ნათქვამზე ორივეს გაეცინა.

_ ეგ ქალი არც ისეთი ლამაზია, კისრის მოტეხვად რომ ღირდეს, _ შენიშნა ფრენსისმა.

მაიკლს კვლავ გაეცინა:

_ როგორ მიხვდი, რომ მას ვუყურებდი?

ფრენსისმა თავი დახარა და მეუღლეს კეპის ქვემოდან ეშმაკური ღიმილით ამოხედა:

_ მაიკლ, ძვირფასო!

_ ჰო, კარგი, მაპატიე!

ვაშინგტონის პარკისკენ ოდნავ აჩქარებული ნაბიჯით გაემართნენ.

_ მოდი, მხოლოდ ერთმანეთს ვუყუროთ. ერთი დღე ქმართან მინდა გავატარო, _ საწოლშიღა გხედავ ხოლმე. მარტო მე მესაუბრე და მისმინე.

_ მერედა, ხელს რა გვიშლის?

_ სტივენსონები! მათ უნდათ, რომ პირველი საათისთვის სოფელში გაგვიყოლონ.

_ ცბიერი სტივენსონები! _ შეიცხადა მაიკლმა, _ უჩვენოდ რა, ვერ წავლენ?

_ ალბათ, რაიმეს აღნიშნავენ.

_ კი, ასეა.

ფრენსისმა მაიკლს ყურზე აკოცა.

_ ძვირფასო, თავი შეიკავე, ეს მეხუთე ავენიუა! _ თქვა მაიკლმა.

_ აი, რას ვაპირებთ დღეს. ნიუ-იორკში ახალგაზრდა წყვილისთვის კვირა დღე დავგეგმე.

_ უფრო გასაგებად რომ თქვა?!

_ ჯერ მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმი მოვინახულოთ, _ ფრენსისმა ეს იმიტომ შესთავაზა, რომ მაიკლი მთელი კვირაა შეახსენებდა, იქ წასვლა მსურსო, _ სამი წელია არ ვყოფილვარ და რამდენიმე ნახატის ხელმეორედ ნახვაზე უარს არ ვიტყოდი. შემდეგ ავტობუსით "რეიდიუ სითიში" ჩასვლაც შეგვიძლია. მერე "კავანაგში" ჩავიაროთ და ბლექსიმების წინსაფარივით ვეება შაშხის ნაჭერი მივირთვათ ბოთლ ღვინოსთან ერთად. "ფილმარში" ერთი ფრანგული ფილმი გადის, რომელზეც ყველა ლაპარაკობს... მაიკლ, მისმენ?

_ რა თქმა უნდა, _ თქვა მაიკლმა და სწრაფად მოარიდა თვალი შავთმიან გოგონას, რომელსაც თმა ისე ჰქონდა შეჭრილი, გეგონებოდა, თავზე ჩაფხუტი ახურავსო. გოგონამ გვერდით ჩაუარა მაიკლს.

_ აი, ესაა დღის პროგრამა, _ დაასრულა ფრენსისმა, _ ან იქნებ სჯობდეს, უბრალოდ მეხუთე ავენიუზე გვესეირნა?

_ არა, წავიდეთ!

_ შენ ყოველთვის ქალებს უყურებ, ყველგან, სადაც კი წავალთ, _ უსაყვედურა ფრენსისმა

_ ძვირფასო, ღმერთმა თვალები იმისთვის მომცა, რომ მანდილოსნებს ვუყურო, მამაკაცებსაც. ვუცქირო მეტროსადგურებს, ფეხით მოსიარულეთ, პატარა ყვავილებს მინდვრად, დავტკბე სამყაროს მშვენიერებით.

_ იქნებ საკუთარ სულშიც ჩაგეხედა ისევე გულდასმით, როგორც მეხუთე ავენიუს ათვალიერებ.

_ მე ბედნიერი, დაოჯახებული კაცი ვარ. მოდი, დავლიოთ.

_ ეგებ მხოლოდ გვევახშმა?

_ არა! მისმინე, ძვირფასო, _ მაიკლი სიფრთხილით არჩევდა სიტყვებს, _ მშვენიერი დღეა, თავს შესანიშნავად ვგრძნობთ და ვერ ვხედავ მიზეზს, რატომ უნდა გავიფუჭოთ განწყობა. მოდი, ეს კვირა დღე მხიარულად გავატაროთ.

_ კარგი, არც კი ვიცი, უარი რატომ გითხარი.

ხელჩაკიდებულებმა უსიტყვოდ ჩაუარეს საბავშვო ეტლებს, საკვირაოდ გამოწყობილ მოხუც იტალიელ მამაკაცებს და ახალგაზრდა მანდილოსნებს ვაშინგტონის მრგვალ პარკთან.

_ წელიწადში ერთხელ ყველა სტუმრობს მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმს, _ თქვა ფრენსისმა ცოტა ხნის შემდეგ. მის სიტყვებში ისეთივე ტონი იგრძნობოდა, როგორიც საუზმისას და სეირნობის დასაწყისში და ეს ტონი რაღაცნაირად კვირა დღესაც მოუხდა, _ უამრავი ადამიანი ათვალიერებს ნახატებს და ხვდები, რომ ნიუ-იორკში, მიუხედავად ყველაფრისა, ხელოვნება არაა მივიწყებული.

_ რაღაც მინდა გითხრა, _ სერიოზულად თქვა მაიკლმა, _ ხუთი წლის განმავლობაში შენს გარდა სხვა ქალს არ გავკარებივარ, არასდროს.

_ კარგი, კარგი.

_ ჩემი ხომ გჯერა?

_ კი, მჯერა.

მათ ჩაიარეს ხალხით სავსე სკამებს შორის, დაბალძირიანი ხეების ქვეშ.

_ უსარგებლოდ ვთვლი თავს, თუმცა ვცადე ამისთვის ყურადღება არ მიმექცია, _ თქვა ფრენსისმა, _ მაგრამ როდესაც ლამაზ ქალს ხარბად შეათვალიერებ, ვგრძნობ, რომ პირველივე შემოხედვისას სწორედ იმ ქალად აღმიქვამ. გახსოვს, ელის მაქსველის სახლი? დგახარ მისაღებ ოთახში, რადიოს გვერდით, მწვანე ქუდით და ეს ხალხიც...

_ ჰო, მახსოვს ეგ ქუდი.

_ აი, ისევ იგივე მზერა, ეს საშინლად მოქმედებს ჩემზე.

_ გაჩუმდი, ძვირფასო! გთხოვ, გაჩუმდი!

_ ახლა მხოლოდ დალევა მსურს! _ თქვა ფრენსისმა.

ისინი უხმოდ მიდიოდნენ. მერვე ქუჩის გადაკვეთისას მანქანებს შორის მაიკლი ფრენსისს სავალს მექანიკურად უკვალავდა. ბარში სარკმელთან ახლოს დასხდენ, საიდანაც მზის სხივები იღვრებოდა. იქვე ბუხარი იყო, მხიარულად მოგუზგუზე ცეცხლით. მათ ტანდაბალი იაპონელი ოფიციანტი მიუახლოვდათ, გულთბილად გაუღიმათ და მაგიდაზე მენიუ ჩამოდო.

_ სადილის შემდეგ რას დალევ? _ ჰკითხა მაიკლმა.

_ ბრენდის ვირჩევდი.

_ ორი კაურვოიზერი, თუ შეიძლება, _ მიმართა მაიკლმა ოფიციანტს.

მალე დაბრუნდა ოფიციანტი ჭიქებით ხელში. ისინი სასმელს სვამდნენ და თან სარკმლიდან შემომავალ მზეს ეფიცხებოდნენ. მაიკლმა ჭიქა ნახევრად შესვა და ცოტა წყალი დააყოლა.

_ დიახ, მანდილოსნებს ხარბად ვუყურებ, _ თქვა მაიკლმა, _ მართალი გითხრა, არ ვიცი, სწორად ვიქცევი თუ არა. როდესაც ქალს გვერდით ჩავუვლი, თუ არ შევხედე, თითქოს დანაშაულს ჩავდივარ.

_ უყურებ და მათთან გსურს ყოფნა, _ თქვა ფრენსისმა. ხელში კი ბრენდის ჭიქას ათამაშებდა.

_ სადღაც მართალი ხარ. კი, ალბათ, ასეა.

_ ვიცი. სწორედ ამიტომ ვგრძნობ თავს საშინლად.

_ თუ შეიძლება, კიდევ თითო ბრენდი! _ გასძახა მაიკლმა ოფიციანტს. შემდეგ ღრმად ამოისუნთქა, თვალები დახუჭა და სახე ხელისგულებზე ჩამოაყრდნო. დახუჭულ თვალებზეც კი ეტყობოდა, რომ წამწამებს ახამხამებდა, _ მე მსიამოვნებს ქალების ყურება. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ნიუ-იორკი მომწონს, ისაა, რომ აქ აურაცხელი ქალბატონია. როცა ოჰაიოდან ჩამოვედი, რაც უმალ თვალში მომხვდა, მილიონობით მშვენიერი ქალი იყო და გული ყელში მომებჯინა.

_ ეს ხომ ბავშვური ფიქრებია, მაიკლ?

_ ასეა. ასაკი მომემატა, უკვე შუახნის მამაკაცი მეთქმის, მოვსუქდი კიდეც, მაგრამ კვლავ მიყვარს სეირნობა სამი საათისთვის მეხუთე ავენიუზე 50-ე და 57-ე ქუჩებს შორის. ისინი კი საყიდლებზე გამოშლილან, თავიანთი ბეწვეულითა და უცნაური ქუდებით. ეს ყველაფერი ერთმანეთთან ჰარმონიაშია: საუკეთესო ბეწვეული, საუკეთესო სამოსი, მომხიბლავი ქალები, ხარჯავ ფულს და ხარ ბედნიერი.

ოფიციანტმა ბრენდიანი ჭიქები მაგიდაზე ჩამოდგა და სანდომიანი ღიმილით იკითხა:

_ ყველაფერი რიგზეა?

_ კი! _ უპასუხა მაიკლმა.

_ ნუთუ საქმე მხოლოდ ბეწვის ქურქი და 45 დოლარიანი ქუდია?

_ არა, საქმე ქურქი და ქუდი როდია, ეს მხოლოდ წარმოდგენას გიქმნის ამა თუ იმ მანდილოსანზე, _ თქვა მაიკლმა, _ მგონი, არ გაინტერესებს, რაზეც გესაუბრები.

_ რატომაც არა, განაგრძე.

_ მე ოფისის გოგონებზე ვგიჟდები, _ ეშხიანები, ხალისიანები, სადად ჩაცმულები, საქმის მცოდნენი, სათვალით სახეზე. მიყვარს გოგონები 44-ე ქუჩაზე ვახშმობისას. მომწონს ათასგვარ სამოსში გამოწყობილი მსახიობები. მაღაზიის გამყიდველი გოგონებიც მომწონს, რადგან პირველად შენ გაქცევენ ყურადღებას, _ მამაკაცი ხარ და იმიტომ, _ მანდილოსნებს კი უხალისოდ ემსახურებიან. ეს ყველაფერი ჩემში გროვდებოდა. ათი წელია ამაზე ვფიქრობ. ახლა შენ მკითხე ამის შესახებ და მეც გულახდილად გითხარი.

_ განაგრძე!

_ როცა ნიუ-იორკზე ვფიქრობ, მის ქუჩებში მოსიარულე აურაცხელი ქალბატონი წარმომიდგება თვალწინ. არ ვიცი, მარტო მე მემართება ასე თუ ყველა მამაკაცი ამ ქალაქში ჩემსავით გრძნობს თავს _ თითქოსდა დიდ პიკნიკზე? მე მომწონს ქალების გვერდით ჯდომა თეატრში და საქვეყნოდ ცნობილ ქალბატონთა ყურება, რომლებიც თავის მოწესრიგებას ექვს საათს ანდომებენ. მომწონს ახალგაზრდა, ლოყებაწითლებული გოგონების ცქერა ფეხბურთის მატჩზე და თბილი დღეების დადგომისთანავე მაგიჟებენ გოგონები საზაფხულო კაბებში.

ფრენსისმა ჭიქაში ჩარჩენილი ბრენდიც მოსვა და თქვა:

_ გიყვარვარ?

_ მიყვარხარ!

_ მეც ისეთივე მშვენიერი ვარ, როგორც ისინი?

_ რა თქმა უნდა, მშვენიერი ხარ!

_ შენთვის ყველაფერი საუკეთესო მინდა. ვცდილობ, ვიყო კარგი მეუღლე, დიასახლისი, ერთგული მეგობარი, სხვა რაღა ვიღონო შენთვის?!

_ ვიცი, _ თქვა მაიკლმა და ფრენსისს ხელი ხელზე დაადო.

_ იქნებ გინდა, რომ გათავისუფლდე...

_ ნუღარაფერს იტყვი!

_ სიმართლე მითხარი! _ ფრენსისმა მაიკლს ხელი გამოსტაცა.

_ კარგი, _ მაიკლმა ჭიქის პირს თითი წაჰკრა, _ ხანდახან, მართლაც მსურს ვიყო თავისუფალი.

_ ხანდახან?

_ გეყოფა, ნუ სულელობ! _ მაიკლი სკამიდან ფრენსისისაკენ გადაიხარა. ქალი ჩუმად აქვითინდა, იმდენად ჩუმად, რომ ბარში ეს არავის შეუნიშნავს.

_ გამოდის, ერთხელაც იქნება და მიმატოვებ! _ თქვა ფრენსისმა.

მაიკლმა არაფერი უპასუხა. იჯდა და ბარმენს უყურებდა, რომელიც აუღელვებლად ფცქვნიდა ლიმონს.

_ კარგი რა, მითხარი, განა ასე არაა! _ განაგრძობდა ფრენსისი.

_ შეიძლება, საიდან უნდა ვიცოდე?! _ თქვა მაიკლმა და სკამზე გასწორდა.

_ მშვენივრად იცი, ხომ ასეა?!

_ ასეა! _ თქვა ცოტა ხნის შემდეგ მაიკლმა.

ფრენსისმა ტირილი შეწყვიტა, ცხვირსახოცი ცრემლს დაენამა. მაიკლს დამშვიდებული სახით შეხედა:

_ შეგიძლია რაღაც შემისრულო?

_ რა თქმა უნდა.

_ ქალები აღარ ახსენო. მშვენიერი თვალები, ლამაზი მკერდი, ჩამოქნილი ტანი, საამო ხმა, _ ფრენსისმა მაიკლს ლაპარაკში გამოაჯავრა, _ შენთვის შეინახე ეგ ყველაფერი, მე სრულებით არ მაინტერესებს.

_ კარგი, ჩემთვის შევინახავ, _ მაიკლმა ხელით ოფიციანტს უხმო.

ფრენსისი თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

_ კიდევ ერთი ბრენდი! _ უთხრა ქალმა ოფიციანტს.

_ ორი, თუ შეიძლება! _ დაამატა მაიკლმა.

_ დიახ მემ, დიახ სერ! _ თქვა ოფიციანტმა და გაბრუნდა.

ფრენსისმა მზრუნველი თვალებით შეხედა მაიკლს და უთხრა:

_ გინდა, სტივენსონებთან დავრეკავ. კარგი იქნება, თუკი სოფელში წავყვებით.

_ რა თქმა უნდა, დარეკე!

ფრენსისი მაგიდიდან წამოდგა და ტელეფონის ჯიხურისკენ წავიდა. მაიკლი მის ნაბიჯებს თვალს არ აშორებდა და ფიქრობდა: _ “რა მომხიბვლელი ქალია, რა ვნებიანი ფეხები აქვს”.

ჯორჯ ეიდი

ჯორჯ ეიდი (1866 _ 1944) ამერიკელი იუმორისტი მწერალი _ პროზაიკოსი, დრამატურგი, საგაზეთო მიმომხილველი.

მან ასახა ამერიკის ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენა _ დიდი გადასახლების პირველი ტალღა სოფლიდან აყვავებულ ქალაქებამდე. ერთ-ერთი ასეთი სწრაფად განვითარებადი ქალაქი იყო ჩიკაგო, სადაც ეიდმა შექმნა თავისი საუკეთესო ბელეტრისტიკა. იგი გაზეთისათვის წერდა სვეტს, სადაც მკითხველს უამბობდა ქალაქ ჩიკაგოსა და მისი ქუჩების ისტორიას.

სოფლის მეურნეობიდან ინდუსტრიულ ეკონომიკაზე გადასვლისას ამერიკელებმა გადაიტანეს ღირებულებათა ცვლილებების მტანჯველი პროცესი. ეიდი წერს "პატარა ადამიანის" პრაგმატულ მცდელობებზე, _ თავი გაიტანოს რთულ სამყაროში.

სახელი განსაკუთრებით გაუთქვა მისმა უნიკალურმა ნაწარმოებმა _ "იგავები სლენგით".

ჯორჯ ეიდი არის ამერიკელი მწერალი, რომელიც პუბლიკაციებმა მილიონერად აქცია.

ეფი ვითლესი

მისის უოლასი ქმარს ქურთუკის გახდაში შეეშველა და თბილი ხელისგულები ქარისგან აღაჟღაჟებულ წითელ ლოყებზე შემოაწყო.

_ ახალი ამბავი მაქვს! _ ახარა ქალმა.

_ ისევ უნდა ვიკამათოთ?

_ კარგი რა! ისეთი მოახლე გამოჩნდა, ნამდვილი განძია. მთლად ახალგაზრდაც არაა, არც კარგი შესახედავია. როცა ვკითხე, თუ რას ფიქრობდა ღამის ცხოვრებაზე, მიპასუხა, შებინდდება თუ არა, შინიდან ფეხს აღარ ვადგამო.

_ მართლა?! ძნელი დასაჯერებელია.

_ სწორედ ასეა! ცოტაც მოითმინე და თვითონვე დარწმუნდები. სააგენტოდან მოვიდა, მზადაა ახლავე შეუდგეს საქმეს. როგორც სარჭით საგულდაგულოდ დამაგრებული ვარცხნილობიდან

უშნოდ ჩამოშლილ ერთ ღერ თმასაც ვერ მოჰკრავ თვალს, ისე მის მიერ დალაგებულ სამზარეულოში, ძალიანაც რომ მოიწადინო, ზედმეტს ვერაფერს იპოვი.

_ საიდანაა?

_ სოფლიდან. ბუნების შვილია, გამოუცდელი, ალალი, ძალიან სათნო სული აქვს, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. დანახვისთანავე მივხვდი, რომ შეგვიძლია ვენდოთ.

_ ვიმედოვნებ, რომ ასეა, მაგრამ სრულყოფილებისთვის რატომ უხდიან ნებისმიერ საფასურს? მას სურს თავის ოთახში ზონრიანი ფარდები დაჰკიდოს და გამოიწეროს საბაზრო ქაღალდები.

_ შენც თქვი რა, არა მგონია კითხულობდეს. სამზარეულოში მუხლჩაუხრელად მუშაობს და თან "ბეულაჰის მიწას"* ღიღინებს.

_ მღერის კიდეც? ნუთუ სიმღერის ნიჭითაც დააჯილდოვა ბუნებამ?

_ კარი შეღებული დავტოვოთ და თვითონვე მოისმენ.

მაგიდა გაწყობილი იყო და არნახული სისუფთავე კერძებს კიდევ უფრო მიმზიდველსა და მადისაღმძვრელს ხდიდა. მისის უოლასმა სუფრა ყურადღებით შეათვალიერა, დაწკრიალებული ჭიქების ათინათმა თვალი მოსჭრა და კმაყოფილების ნიშნად თავი დააქნია, შემდეგ ზარი აიღო და გააწკარუნა. ახალი მოახლე წამსვე იქ გაჩნდა. მაღალი იყო და აშკარად ეტყობოდა, რომ კარგა ხანია გამომშვიდობებოდა ყმაწვილქალობას.

მისტერ უოლასი მოახლის შესახვედრად შემოტრიალდა და სახტად დარჩენილი ქალს დაჟინებით დააცქერდა, თითქოს მისმა ქუდმა ან ჭორფლმა მოაჯადოვაო.

მოახლე მაგიდას მიუახლოვდა და კაცის დანახვაზე აღელვებისგან თეფში შეუტოკდა. მერე ნაძალადევად გაიღიმა და წვნიანი აჩქარებით ჩამოდგა მაგიდაზე.

მისტერ უოლასი გონს ვერ მოდიოდა, მომხდარის გაცნობიერება უჭირდა, თვალწინ წარსული დაუდგა და რატომღაც დემოკრატიის, თანასწორობის განცდა მოეძალა.

_ ეს ეფი ვითლესია? _ ძლივს ამოღერღა კაცმა.

_ ღვთის გულისათვის, _ მოახლემ უკან დაიხია და თითქოს ეს იყო კაცის სიტყვების აღიარება, ერთგვარი დასტური.

_ მიცანით?

_ ედ უოლასი არა ხართ?

ამ სიტყვების გაგონებაზე მისის უოლასი სკამის საზურგეს მიეყრდნო _ ჯერ ქმარს შეხედა, შემდეგ მოახლეს. მომხდარში გარკვევას ამაოდ ცდილობდა. უცებ შენიშნა, ქმარმა მოახლეს ხელი როგორ გულთბილად ჩამოართვა და თითქოს სული შეუგუბდა.

მისტერ უოლასი თავს გაორებულად გრძნობდა. ერთი მხრივ იგი იყო დამქირავებელი, მეორე მხრივ კი ვალდებულება აიძულებდა სტუმართმოყვრულად დახვედროდა და გულითადად მოეკითხა ბავშვობის მეგობარი. ბოლოს და ბოლოს კაცი მიხვდა, რომ უხერხული ვითარება მეუღლისთვის რაც შეიძლება დროულად უნდა განემარტა.

_ ეს ეფი ვითლესია, ბრაინერდიდან, _ თქვა კაცმა, _ ჩვენ ერთად ვსწავლობდით სკოლაში. აღარც კი მახსოვს, ბოლოს როდის ვნახე, _ მისტერ უოლასი ახლა ეფის მიუბრუნდა, _ არ ვიცოდი, ჩიკაგოში თუ იყავი.

_ ოჰ, ედ უოლას, გაოგნებული ვარ, _ თქვა ეფიმ, რომელიც კვლავ მონუსხული იდგა მაგიდიდან ორიოდე ნაბიჯის მოშორებით, _ როდესაც უოლასი გავიგონე, ვერც კი წარმოვიდგენდი, შენ თუ იქნებოდი, უოლასი ხომ ძალიან გავრცელებული გვარია, მაგრამ დაგინახე თუ არა, მაშინვე გიცანი.

_ მეგონა, კვლავ ბრაინერდში იყავი, _ თქვა მისტერ უოლასმა მცირე პაუზის შემდეგ.

_ შარშან ნოემბერში წამოვედი იქიდან და მორტის ვესტუმრე. შენც ხომ იცი, მორტი ტრამვაის კომპანიაში მსახურობს. არ მინდოდა ტვირთად დავწოლოდი და მუშაობა დავიწყე. ბრაინერდში არაფერი ყრია, კვირაში სულ რაღაც ორ დოლარად მონასავით უნდა იშრომო. მისტერ სანდერსთან მშვენივრად ვიყავი, მაგრამ წამოვედი, რადგან გამუდმებით მაიძულებდა მისთვის ლიქიორი მიმერთმია. სასმელმა დაღუპა ჯესიც, უკვე ორი წელია, რაც ცირკში ძაღლები გამოჰყავს.

_ მაშ მთელი ოჯახი დაიქცა? _ იკითხა მისტერ უოლასმა.

_ ორი წელია, რაც დედა დაიღუპა. გეცოდინება, ლორა ტომას ჰანთფორთზე რომ გათხოვდა. ძველ საკარტოფილეზე ცხოვრობენ. ვერ ვიტყვი, რომ ხელგაშლილთ არიან _ აბა სხვას რას უნდა მოელოდე ისეთი ზარმაცი ადამიანისგან როგორიც ჰანთფორთია.

_ ასეა, _ თქვა მისტერ უოლასმა.

საკითხავია, სუფრა ძველი ნაცნობების შესახვედრად იყო გაშლილი თუ წყნარი ოჯახური ვახშმისთვის? წვნიანი იცდიდა.

მისის უოლასმა მყუდროება დაარღვია.

_ ეს მხოლოდ ოჯახური ვახშამია! _ თქვა მან.

_ კი, რა თქმა უნდა, _ ეფი შეკრთა და უმალ სამზარეულოში გავიდა.

_ ჩვენ ბავშვობა ბრაინერდში გავატარეთ. ერთი გუბიდან ვაცხობდით ტალახის ღვეზელებს და გვერდიგვერდ ვისხედით ძველი სკოლის შენობაში. გვარად ვითლესია. ბრაინერდში ვითლესებს ყველა იცნობს. დიდი ოჯახია _ მართალია საყდრის თაგვებივით არაფერი აბადიათ, მაგრამ გულღია და მეგობრული ხალხია. მოკლედ, ეფი ძალიან კარგი გოგონაა.

_ ეფი, ეფი. ის შენ ედს გეძახის.

_ ძვირფასო, ბრაინერდში ერთმანეთს ოფიციალურად არ მიმართავენ. მუდამ ედს მეძახდა.

_ უთხარი, აქ სხვაგვარად მოგმართოს.

_ ამას ნუ მაიძულებ. ბავშვობიდან ერთად მოვდივართ, ეფი ჩვენი ოჯახის წევრივით იყო. როცა დედა ავადმყოფობდა, უვლიდა და ეხმარებოდა. თუ სწორად მახსოვს, ეფი მე მივიყვანე მუსიკალურ სკოლაში, გამოფენებზეც დამყავდა. ასე რომ, მე მისთვის ბატონი ვერასდროს გავხდები, ამას არ გავაკეთებ. როცა ის ბრაინერდში დაბრუნდება და იტყვის, ჩიკაგოში შეხვედრისას მიბრძანა, მისტერ უოლასი დამეძახაო, თავი როგორღა გამოვყო? პატარა ქალაქში არ გიცხოვრია, ამიტომ ამას ვერ მიხვდები.

_ რა თქმა უნდა, ამ პრივილეგიით არასოდეს მისარგებლია, _ მკვახედ მიუგო ცოლმა.

_ ზოგი რამის შესასწავლად ეს მართლაც რომ პრივილეგიაა, მაგრამ ერთი მხრივ ცუდიცაა _ პატარა ქალაქი არაა შესაფერისი ადგილი იმ ყმაწვილისთვის, ვისაც სურს ბოლო მოდაზე ჩაცმული დაიარებოდეს.

_ ისიც კი არ შეგიძლია, მოახლეს აუკრძალო ედი აღარ დაგიძახოს. არც უნდა დადო თავი სნობობაზე. ასე მეც კი არასოდეს მომიმართავს შენთვის.

_ შენ არასოდეს გიცხოვრია ბრაინერდში.

_ ამბობ, რომ მუსიკალურ სკოლაში შეიყვანე?

_ კი, ეს იყო ოცი წლის წინათ, ბრაინერდში. შენ იცოდი, როდესაც ცოლად მომყვებოდი, რომ სოფლად გაზრდილი ვიყავი. ვსწავლობდი კოლეჯში და ქალაქში მზა ტანსაცმლის შესაძენად ჩამოვედი. არასოდეს მიცხოვრია ოთხასთა* მსგავსად, თუმცა კარგი იქნება, თუ ოდესმე პოლიტიკაში გავერევი.

_ ნამდვილად არ მიფიქრია შენთვის წარსულის შეხსენება. უბრალოდ, ვცდილობ წარმოვიდგინო, რაოდენ არასასიამოვნო იქნება, როცა წვეულება გვექნება, იგი კი შემოვა და ედს დაგიძახებს.

მისტერ უოლასი სუფრას ორივე ხელით მხიარულად აწვალებდა და იცინოდა.

_ არ ვარ დარწმუნებული, რომ მასთან თავს სათანადოდ დაიჭერ, _ თქვა მისის უოლასმა.

_ ეფი ჩვენს ურთიერთობებში შემოჭრას არ აპირებს, _ გადაჭრით თქვა კაცმა, _ ისე, შეგვიძლია ბევრი რამ ვისწავლოთ მისგან.

მისის უოლასმა ზარი დარეკა და ეფი შემოვიდა. მისტერ უოლასმა მას გულითადად გაუღიმა.

_ ბრაინერდის გაზეთებს თუ იღებ? _ ჰკითხა მოახლემ.

_ კი, ყოველკვირა.

_ ამ ზამთარს ბევრმა იავადმყოფა. ლორამ მომწერა, რომ ბიძაშენი ჯოც ავადმყოფობდა.

_ ის ისევ ცაში დაფრინავს?

_ ასეა.

ეფი კვლავ სამზარეულოში გაბრუნდა. როცა მან დესერტი შემოიტანა, გაბედა და თქვა:

_ მორტი ამბობს, რო დიდი ხანია არ შეგხვედრია. აქ კარგად მოწყობილხარ, მშვენიერი სახლი გაქვს.

ნასადილევს მისის უოლასმა მიღებული გადაწყვეტილება ქმარს გააცნო:

_ ეფი უნდა წავიდეს!

კაცი მიხვდა მძიმე საუბარი ელოდათ და ეს უსიამოვნება თავიდან აირიდა. მან თქვა, რომ მართლაც უკეთესი იქნებოდა, თუკი ეფი წავიდოდა, მაგრამ მოახლე უხეშად კი არ უნდა გაეშვათ, არამედ რბილად და დიპლომატიურად.

ეფი ჭურჭელს რეცხავდა, როცა მისტერ უოლასი სამზარეულოში შევიდა და მიკიბულ-მოკიბული საუბარი დაიწყო. მისის უოლასი სასტუმრო ოთახში იჯდა და ჩურჩული ესმოდა. ედი და ეფი ბრაინერდის ამბებზე საუბრობდნენ და იხსენებდნენ თავგადასავლებს, რომლებიც შესაძლოა ტალახის ღვეზელებსა და სასკოლო გამოფენებსაც ეხებოდა.

მისის უოლასი მოახლეში მეტოქეს ხედავდა, მაგრამ მასთან კონკურენციით არ სურდა თავი დაემცირებინა და გამუდმებით სვამდა კითხვას _ ასე ძლიერ რატომ აინტერესებდა რაზე საუბრობდნენ ისინი?

მისის უოლასს მოზღვავებული სიამაყის განცდა ყელში აწვებოდა და სადაცაა გონს დააკარგვინებდა. წინა ღამით გეიმებთან ისადილეს. საღამოს კაბა ქმარმა შეურჩია, ქალი მაგიდასთან ბრწყინავდა და მეუღლით ამაყობდა _ სულ რაღაც ოცდაოთხი საათის შემდეგ კი სამზარეულოდან გამოდის მოახლე, რომელიც მისტერ უოლასს ედის ეძახის.

ხმადაბალი ლაპარაკი სამზარეულოში კვლავ გრძელდებოდა. მისის უოლასს სურდა ფეხაკრეფით კართან მისულიყო და საუბარი მოესმინა, ანდა მოახლე მოკლე ბრძანებით გაესტუმრებინა სადგურში. მაგრამ ქმარი ამას არასწორად გაუგებდა, ეჭვიანობისთვის სახუმარო რეპლიკით დასცინებდა და თავის შეკავება არჩია.

კაცი პირში გაჩრილი ჩამქრალი სიგარეტით (ეფიმ სამზარეულოში მოწევა აუკრძალა) კარის ზღურბლთან დახრილიყო და ხელსაყრელ მომენტს ელოდა, რათა საუბრის თემა შეეცვალა. ბოლოს თქვა:

_ ეფი, რატომ არ ესტუმრები ლორას რამდენიმე თვით? ძალიან გაეხარდება შენი ნახვა.

_ ვიცი, ედი, მაგრამ როქფელერი არ ვარ, ერთი თვით სამუშაო მივატოვო და ნათესავებს ვესტუმრო. კარგი იქნებოდა, მარა...

_ ო, ღმერთო! ხვალვე აგიღებ ბილეთს ბრაინერდისკენ და ფულის დახარჯვა არ მოგიწევს.

_ შენმა ცოლმა მითხრა, რომ რთული პერიოდი ჰქონდა, როდესაც არანაირ დახმარებაზე უარს არ ამბობდა, დახმარებაზე საშინელი კი არაფერია.

_ ეფი, შენ ჩემი ძველი მეგობარი ხარ და არ მინდა ჩვენთან მოახლედ იმუშაო.

_ ისე მოხდა რო ახლა მოახლე ვარ, ამაში მოსარიდი არაფერია. ამის გაკეთება მაშინაც მიწევდა, როცა დედაშენს ვეხმარებოდი. არაფერს ცვლის, თუ რას დამიძახებ.

_ მგონი, ხვდები, რასაც ვგულისხმობ, ასე არაა? ამდენი ხნის მერე შენ ჩემს სახლში მოხვედი, მინდა იყო სტუმარი და არა მოახლე.

_ ედ უოლას, ნუ სულელობ, მე აქ ისევე ვიმუშავებ, როგორც ნებისმიერ სხვა ოჯახში.

_ დარწმუნებული ვარ, მაგრამ არ მსურს მესმოდეს, როგორ აძლევს ბრძანებებს ჩემი ცოლი ჩემს ბავშვობის მეგობარს. ხვდები?

_ წავალ, თუკი ასე გსურს.

_ ბილეთს აგიღებ და ბრაინერდში წასვლა ხვალვე შეგეძლება. დამპირდი, რომ ასე მოიქცევი.

_ წავალ, თუკი სხვა გამოსავალს ვერ ხედავ.

_ თუ დაბრუნდები, სამუშაოს სხვაგან შემოგთავაზებ.

მომდევნო საღამოს ეფი მიდიოდა ეტლით _ პროტესტგამოცხადებული ფუფუნებისადმი.

_ ედ უოლას, _ თქვა ეფიმ პაუზის მერე, _ ბრაინერდში არავინ დამიჯერებს, როცა ამ ამბავს მოვყვები.

_ სიყვარულით მომიკითხე ისინი და უთხარი, რომ ისევ ისეთი ვარ, როგორსაც მიცნობდნენ.

_ აუცილებლად, აბა კარგად.

_ კარგად, ეფი.

ქალბატონმა უოლასმა ფანჯრიდან დაინახა როგორ გაუჩინარდა ეფი ეტლში.

_ მადლობა ღმერთს, _ თქვა მან.

_ მართლაც, _ თქვა კაცმა, _ ვუთხარი, როცა ჩამოვა, ჩვენთან დარეკოს, შეგვეხმიანოს.

_ დარეკოს, აქ?!

_ დიახ. ვუთხარი, რომ მოხარული იქნები, თუკი კვლავ გვესტუმრება, _ კმაყოფილებით აღნიშნა მისტერ უოლასმა.

_ მშვენიერი იდეაა! მართლა ჩვენთან დაპატიჟე?

_ რა თქმა უნდა, დარწმუნებული ვარ, აუცილებლად გვესტუმრება.

_ ახლა როგორ მოვიქცე?

_ თუმც ბრაინერდში არასოდეს გიცხოვრია, ვფიქრობ, სახლის დალაგებას შენც მშვენივრად შეძლებ.

_ შევეცდები! _ თქვა მისის ოულასმა, რომელსაც აშკარად ეტყობოდა, რომ მეუღლის გადაწყვეტილებით ამაყობდა.

***ბეულაჰის მიწა** _ სახარების ცნობილი ჰიმნი, რომელიც დაწერა ედგარ პეჯ სთაითსმა (1836 _ 1921) 1875 ან 1876 წელს.

***ოთხასი** _ ოლიგარქიული მთავრობა, რომელიც მართავდა ათენს ჩვენს წელაღრიცხვამდე 411 წელს. ნიუ-იორკის სოციალური ელიტა.

დოროთი პარკერი

დოროთი პარკერი (1893-1967) ამერიკალი მწერალი, პოეტი და სატირიკოსი. დაიბადა ლონგ-ბიჩზე, ნიუ-ჯერსის შტატში. პარკერი ცნობილი იყო თავისი მძაფრი, გესლიანი იუმორით. XX საუკუნის ქალაქური ცხოვრების მანკიერებებს იგი ამხელდა გამჭრიახი ხუმრობებითა და ენამახვილობით.

წინააღმდეგობრივი, რთული ბავშვობის მიუხედავად პარკერმა მიაღწია წარმატებასა და აღიარებას. იგი ცნობილი გახდა "ნოი-იორკერთან"* ურთიერთობის წაყალობით. აგრეთვე, ის იყო დამაარსებელი და წევრი სახელგანთქმული სამწერლო ჯგუფისა "ალგონკინის მრგვალი მაგიდა"*. მწერალთა აღნიშნული ჯგუფის დაშლის შემდეგ პარკერი წავიდა ჰოლივუდში და დაიწყო სცენარების წერა _ ორჯერ იყო "ოსკარის" ნომინანტი. თუმცა, მემარცხენე პოლიტიკურ მოძრაობაში მონაწილეობის გამო იგი მოხვდა ჰოლივუდის "შავ სიაში"*.

პარკერი სამჯერ იყო დაქორწინებული (ორჯერ ერთსა და იმავე მამაკაცთან). ჰქონდა თვითმკვლელობის რამდენიმე მცდელობა. საბოლოოდ კი ალკოჰოლზე დამოკიდებული გახდა. საკუთარი ტალანტის მიმართ მას კრიტიკული დამოკიდებულება ჰქონდა, თუმცა მისმა ბრწყინვალე ხუმრობებმა დროის გამოცდას წარმატებით გაუძლო.

რესპუბლიკის ჯარისკაცები*

იმ კვირა დღეს, შვედ გოგონასთან ერთად, ვალენსიის ერთ-ერთ კაფეში ყინულის ნატეხებით სავსე ვეება ჭიქებით ვერმუტს ვსვამდით. მიმტანი ნაცრისფერ ყინულის ბურთულებს მაგიდებს შორის სიამაყითა და ხალისით დააქროლებდა.

ოთახი გამაყრუებელი შეძახილებისგან გუგუნებდა. მიმტანს ხმამაღლა უხმობდნენ, ხელითაც ანიშნებდნენ, მაგრამ ოფიციანტს თავის უკან მიბრუნებისას დაკუნთული ზორბა

მხრები კედელივით ეფარებოდა და მოთმინებადაკარგულ კლიენტთა გაღიზიანებულ მოძრაობებს ხშირად ვერც კი ამჩნევდა.

ქუჩებში ლამპიონებს არ ანთებდნენ და სწრაფად ჩამობნელდა. გვიანი დროის მიუხედავად კაფეში ბავშვებიც ისხდნენ, რომლებიც ასაკისათვის შეუფერებლად, ცელქობისა და ხმაურის გარეშე, სერიოზული სახეებით ათვალიერებდნენ იქაურობას.

გვერდით მაგიდასთან ექვსიოდე თვის გოგონა მამის მუხლებზე წამოსკუპებულიყო. სუსტი აღნაგობის კაცს ფართო უნიფორმა ეცვა. მას ახალგაზრდა, გამხდარი, ფეხმძიმე მეუღლე ახლდა, რომელსაც გახუნებული ნაჭრის კაბიდან დიდი მუცელი მოუჩანდა და აღტაცებით შეჰყურებდა ქმარს, თითქოს კვლავაც მის მოხიბვლას ცდილობსო. მათი ყავა კი ცივდებოდა.

ბამბის ქულასავით ქათქათა გოგონასთვის კაბა მოხდენილად განეახლებინათ და ქსოვილზე განსხვავებული შეფერილობის საკერებლები თვალში ერთბაშად არ გხვდებოდა. ლურჯი ბაფთით თმა ისე გულდასმით შეეკრათ, რომ ერთი ჩამოშლილი კულულიც არ მოუჩანდა. ისე კი, ასეთ თხელ თმაზე დიდი ბაფთა არ უნდა შეებათ.

_ კაი რა! _ ვუსაყვედურე საკუთარ თავს, _ რა ჩემი საქმეა ლურჯი ბაფთა. ანდა დედა, რომელიც ზის და არაფერს მიირთმევს, თუმცა, მშვენივრად კი გამოიყურება. საერთოდ, რატომ ვფიქრობ ამაზე?

დიდი, დაბინდული ოთახი ხალხით გადაჭედილიყო და ყურისწამღები ხმაური იდგა. დილით ქალაქი თვითმფრინავებმა დაბომბეს, არადა კაფეში მყოფთაგან სასოწარკვეთილება არავის ეტყობოდა, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე ისხდნენ. ზოგი ყავას წრუპავდა, ზოგიც გამაგრილებელ სასმელს მიირთმევდა, თითქოსდა ერთი ჩვეულებრივი, რიგითი კვირა დღე ყოფილიყო.

ოთახში განსხვავებული ფორმიანი ჯარისკაცები ირეოდნენ, გეგონებოდა ერთდროულად ოცი არმიის უნიფორმა ჩაუცვამთო. დაჭრილებიც იყვნენ, აქა-იქ ყავარჯნებითაც დაჩლახუნობდნენ. სამოქალაქო ტანსაცმლიანებსაც ბლომად მოეყარათ თავი _ ზოგი ჯარისკაცი შინ შვებულებით ჩამოსულიყო, სახელმწიფო მოხელეებიც მოსულიყვნენ, ზოგსაც სტუმარი ახლდა. რამდენიმეს ენერგიული, ახალგაზრდა მეუღლე უმშვენებდა გვერდს. უამრავი ლამაზი ქალიშვილიც იწონებდა თავს, რომელთაც საკმაოდ მოკრძალებული სამოსი ეცვათ.

_ საოცარია, _ ვუთხარი შვედ გოგონას, _ არც ერთი არ გამოირჩევა მოხდენილი ჩაცმულობით. მგონი, ეს არც კი შეგინიშნავს, არა?

_ ნურც შენ მიაქცევ ყურადღებას, _ მიპასუხა მან.

თითქმის არავის ეხურა ქუდი, გარდა რამოდენიმე ჯარისკაცისა. ქუდზე ერთი ამბავი გამახსენდა. ვალენსიაში ახალჩამოსული ძალიან განვიცდიდი, როდესაც ჩემს ქუჩაზე ყველა დამცინოდა. დაცინვის მიზეზი ის კი არ იყო, რომ ნიუ-იორკიდან ვიყავი და რაღაცნაირად ეს სახეზეც კი მეტყობოდა, პირიქით, ვალენსიაში ამერიკელები უყვარდათ და პატივს სცემდნენ. ზოგი ექიმი იყო, რომელთაც საკუთარი საქმე მიატოვეს და დასახმარებლად ჩამოვიდნენ. იყვნენ ახალგაზრდა სათნო ექთნები და ინტერნაციონალურ ბრიგადებში* გაერთიანებული მამაკაცები. აი, სიცილს კი ჩემი ქუდის ფორმა იწვევდა. თითს ქუდისკენ იშვერდნენ და მხიარულად ყვიროდნენ _ “Ole!”

ერთი წყვილი აუღელვებლად იჯდა, ერთმანეთისთვის მორიდებით ჩაეკიდათ ხელი და იმდენად გულწრფელი სიყვარული გამოსჭვიოდა მათგან, რომ რეალობისთვის შეუფერებლადაც კი გამოიყურებოდნენ.

ქუდი ახლაც მეხურა, მაგრამ აღარავის დავუცინივარ, რადგან ეს იმ სასაცილო ქუდთაგანი არ იყო.

წამოვდექი და ნაცნობთან გამოსალაპარაკებლად მოპირდაპირე მხარეს გავემართე. უკან მობრუნებულს მაგიდასთან ექვსი ჯარისკაცი დამხვდა და სკამამდე გაჭირვებით მივაღწიე.

არაქათგამოცლილ ჯარისკაცებს მზერა ჩაჰქრობოდათ და უსუფთაოდ ეცვათ. მათი დაკუნთული კისრების შემხედვარემ თავი უსუსურად ვიგრძენი.

ექვსივე შვედ გოგონას ემუსაიფებოდა. გოგონამ ესპანურიც იცოდა, ფრანგულიც, გერმანულიც, სკანდინავიურიც, იტალიურიც და ინგლისურიც. იგი ძალიან წუხდა, რომ ჰოლანდიურად ვეღარ ლაპარაკობდა, მხოლოდ კითხულობდა. რუმინულიც დავიწყებოდა.

შვედმა გოგონამ მითარგმნა, რომ ჯარისკაცები სიგარეტს ნატრულობდნენ. 48 საათიანი შვებულების ვადა სადაცაა ამოეწურებოდათ და სანგრებში უნდა დაბრუნებულიყვნენ. სიგარეტისთვის ფული შეაგროვეს, მაგრამ ერთი ღერიც ვერ იშოვეს. ხელჩანთაში ამერიკული სიგარეტის გაუხსნელი კოლოფი მეგულებოდა. ახლა მათთვის სიგარეტი ძვირფას თვლებზე მეტად ფასობდა. კოლოფი ამოვიღე, თავი თავაზიანად დავუკარი და გავუღიმე.

თავდაპირველად განზრახვას ვერ მიმიხვდნენ, მერე კი კოლოფს დასწვდნენ და სიგარეტს ყვითელფითილიანი სანთებელათი მოუკიდეს. ალმოდებულ ფითილს მძაფრი, უსიამო სუნი ავარდა. ჯარისკაცებს შეკვეთილი ყავა მოუტანეს.

შვედი გოგონას დახმარებით ვსაუბრობდით. ჯარისკაცები სიტყვებს საკმაოდ გამოკვეთილად წარმოთქვამდნენ. როცა რაღაცას მოყვებოდნენ, ისე გადმოგვხედავდნენ, თითქოს დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ნათქვამი სიტყვასიტყვით გავიგეთ. ჩვენც გვეხათრებოდა და თავს ისე ვაჩვენებდით, თითქოსდა სიტყვა არ გამოგვრჩენოდეს.

შვედმა გოგონამ გვითხრა, რომ ისინი ყველანი ფერმერები და ფერმერების შვილები იყვნენ იმდენად ღარიბი რეგიონიდან, რომ მსგავს სიღარიბეს ძნელად თუ წარმოიდგენდა ადამიანი. მათ სოფელში კორიდა იმართებოდა და სანახაობაზე დასასწრებად უამრავ ხალხს მოეყარა თავი, ბავშვებიც მრავლად იყვნენ. სწორედ ამ დროს ცაზე გამოჩენილმა თვითმფრინავებმა იქაურობა დაბომბეს. ორასზე მეტი ადამიანი დაიხოცა.

ერთი წელია ექვსივენი ომობენ და უმეტეს დროს სანგარებში ატარებენ. ოთხი მათგანი დაოჯახებული ყოფილა. ერთს _ ერთი შვილი ჰყოლია, ორს _ სამ-სამი, ერთს კი ხუთი. რაც ფრონტზე წავიდნენ მათზე სიტყვაც არ სმენიათ. წერა სანგარში, თანამებრძოლისგან ისწავლეს, მაგრამ შინ წერილის გაგზავნას ვერ ბედავდნენ, რადგან რესპუბლიკელთა მხარეს იბრძოდნენ. სოფელი კი, სადაც მათი ოჯახები ცხოვრობდნენ, მეამბოხეებმა იგდეს ხელთ და რესპუბლიკელთა ბანაკიდან წერილის მიმღები შესაძლოა სიკვდილით დაესაჯათ.

ისინი ჯარისკაცები იყვნენ და ნებისმიერ დროს მზად უნდა ყოფილიყვნენ თავგანწირვისთვის. წელიწადზე მეტია ოჯახებიდან ცნობა არ მიუღიათ, საყვარელი ადამიანებისთვის თვალიც არ მოუკრავთ. არ წუწუნებდნენ, უბრალოდ საკუთარი გულისტკივილი გაანდეს გოგონებს.

მთელი წელი ომობ, ცხოვრობ სანგარში, არაფერი იცი საკუთარ შვილებზე, ცოლზე. შინაურებმა ისიც კი არ იციან ცოცხალი ხარ თუ მკვდარი, ან იქნებ დაბრმავდი? შემთხვევით თუ გადააწყდებოდი ადამიანს, რომლისგანაც ოჯახზე ერთ-ორ სიტყვას გაიგებდი.

ექვსიოდე თვის წინ, ერთ-ერთ მათგანს, ფრანგი ცოლისძმისგან შეუტყვია მეუღლესა და სამ შვილზე. ყველანი ცოცხლები ყოფილან, თუმცა უკიდურეს გაჭირვებაში უხდებოდათ არსებობა _ ყოველდღიურად ლობიოთი იკვებებოდნენ. მისი მეუღლე საჭმელზე არ წუწუნებდა, მხოლოდ

იმაზე წუხდა, რომ ძაფი არ ჰქონდა ბავშვების დაძონძილი ტანსაცმლის დასაკემსად. ამან ჯარისკაცი ძალიან დაამწუხრა და გააღიზიანა.

_ ღმერთო ჩემო, ჩემს ცოლს ძაფის ნაგლეჯიც კი არა აქვს ტანსაცმლის დასაკერებლად, _ გვეუბნებოდა აღელვებული, _ ძაფიც კი, წარმოგიდგენიათ?!

ვისხედით და შვედ გოგონას ვუსმენდით, რომელმაც უამრავი საინტერესო რამ გვიამბო ჯარისკაცების მონათხრობიდან. უცებ ერთ-ერთმა მათგანმა კედლის საათს გახედა. ჯარისკაცებს აღელვება დაეტყოთ. სასწრაფოდ წამოიშალნენ, მიმტანს დაუძახეს, რაღაც უთხრეს. მერე თითოეულმა მათგანმა გამოსამშვიდობებლად ხელი ჩამოგვართვა. სახეებზე ამოვიკითხე თუ როგორ ეწადათ დარჩენილი სიგარეტის წაღება _ თოთხმეტი ღერი ექვსი ჯარისკაცისთვის. ცხადია, სიგარეტი მათ დავუთმე. კვლავ ხელი ჩამოგვართვეს და გასამხნევებლად ყველამ ერთხმად რამდენჯერმე შევძახეთ _ “salud!” ისინი კაფედან გავიდნენ _ ექვსი ჯარისკაცი გაჭუჭყიანებული სამოსით და უზომოდ დაღლილები.

ახლა მხოლოდ შვედი გოგონა საუბრობდა, რომელიც ესპანეთში ომის დაწყებისთანავე ჩამოვიდა. ის დაჭრილებს უვლიდა და სანგრებში საკუთარი ხელით დაჰქონდა საკაცე. ჯარისკაცებთან საუბრისას საშინელი ამბები გაახსენდა და ჩუმად, უემოციოდ ვეღარ იჯდებოდა.

აი, ჩვენი წასვლის დროც დადგა. შვედმა გოგონამ ხელები თავზემოთ შემართა და ოფიციანტის მოსახმობად ტაში ორჯერ შემოჰკრა. მიმტანი მოგვიახლოვდა, უარის ნიშნად თავი და ხელები ენერგიულად გააქნია და უკან გაბრუნდა.

ჩვენი დანახარჯი ჯარისკაცებს გადაეხადათ.

***“ნოი-იორკერი”** _ ამერიკული ყოველკვირეული. აქვეყნებდა რეპორტაჟებს, კომენტარებს, კრიტიკას, ესსეებს, მხატვრულ ნაწარმოებებს, იუმორს, კომიქსებსა და პოეზიას. გამოიცემა 1925 წლიდან. 40-იანი წლების დასაწყისიდან პირველად სწორედ აქ ქვეყნდებოდა ცნობილ, პრემირებულ ამერიკულ მოთხრობათა უმრავლესობა.

***“ალგონკინის მრგვალი მაგიდა”** _ ალგონკინის მრგვალი მაგიდა იყო ნიუ-იორკელი ავტორების ცნობილი ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ მწერლები, კრიტიკოსები, მსახიობები და მახვილგონიერი ადამიანები. ისინი ყოველდღიურად ხვდებოდნენ ერთმანეთს სადილად სასტრუმრო “ალგონკინში” 1919 წლიდან დაახლოებით 1929 წლამდე. საუზმობისას წარმოთქმული მათი გესლიანი ხუმრობები და ენამახვილობები მთელ ქვეყანაში გაზეთებით ვრცელდებოდა.

***ჰოლივუდის “შავი სია”** _ ამერიკის კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა სია 1940-1950-იან წლებში, რომელიც კრძალავდა პროფესიულ მოღვაწეობას პოლიტიკური შეხედულებების გამო. სიას ჰოლივუდის სტუდიების მეპატრონეები ადგენდნენ, სადაც შეჰყავდათ ამერიკის კომპარტიის წევრები და მათი თანამზრახველნი.

***რესპუბლიკის ჯარისკაცები** _ ესპანეთის სამოქალაქო ომში (1936 _ 1939) ესპანეთის რესპუბლიკის მთავრობის მომხრე ჯარისკაცები.

***ინტერნაციონალური ბრიგადები** _ შეიარაღებული ქვედანაყოფები, შედგენილი უცხოელი მოხალისეებისაგან (ფრანგები, ამერიკელები, პოლონელები, იტალიელები, ინგლისელები, ავსტრიელები, გერმანელები და ა.შ.), რომლებიც მონაწილეობდნენ ესპანეთის სამოქალაქო ომში ესპანეთის რესპუბლიკის მხარდასაჭერად.

რინგ ლარდნერი

რინგოლდ უილმერ ლარდნერი (1885 _ 1933) ცნობილია როგორც რინგ ლარდნერი. ამერიკელი მწერალი-სატირიკოსი, ფელეტონისტი, სპორტული მიმომხილველი. მისი მოთხრობების პირველი კრებული გამოიცა 1916 წელს. ლარდნერი მდიდარი მშობლების უმცროსი _ მეცხრე შვილი გახლდათ. იყო სკოტ ფიცჯერალდისა და ჯაზური ასაკის* სხვა ავტორთა ახლო მეგობარი. ლარდნერის მთავარი მწერლური იარაღია ქვეტექსტის ირონია, გროტესკი და გამქირდავი ავტორისეული კომენტარები.

მოხუცთა ქრისტეშობა*

შობის წინადღეს ტომი და გრეის ქართერები სასტუმრო ოთახში ისხდნენ. ხან საუბრობდნენ, ხან კითხვით იქცევდნენ თავს და გამუდმებით ერთსა და იმავეზე ფიქრობდნენ. მათ ორი შვილი ჰყავდათ _ ცხრამეტი წლის ჯუნიორი და მასზე ორი წლით უმცროსი გრეისი, რომლებიც საშობაო არდადეგებზე ჩამოვიდნენ. ჯუნიორი უნივერსიტეტის პირველკურსელი გახლდათ, გრეისი კი პანსიონს ამთავრებდა და კოლეჯისთვის ემზადებოდა.

ჯუნიორმა სახელი გადაიკეთა და ახლა თედი ჰქვია, გრეისს კი ქეროლაინს ეძახიან. ისინი მშობლებსაც აიძულებენ სწორედ ამ სახელებით მიმართონ. აი, ეს იყო საწუხარი, რომელზე ფიქრიც, შობის წინადღეს, მშობლებს არ სურდათ, მაგრამ მაინც ამაზე ეფიქრებოდათ.

აქაური უნივერსიტეტელი ახალბედები შინ ოცდაერთში დაბრუნდნენ _ სწორედ იმ დღეს, როცა არდადეგები დაიწყო. თედმა მშობლებს უდეპეშა, რომ სამი დღით შეაგვიანდებოდა, რადგან საგანგებო გამოცდებს აბარებდა, რაც სამომავლოდ ბევრად გაუადვილებდა მომდევნო კურსზე სწავლას. შინ ისეთი ფერმიხდილი, თვალებჩაცვენილი და დასუსტებული დაბრუნდა, დედა დაეჭვდა, _ ღირდა კი ცოდნის შეძენა ჯანმრთელობის დაკარგვის ფასად? ქეროლაინსაც დააგვიანდა, რაც იმით ახსნა, რომ სამრეცხაო დაიკეტა და ტანსაცმელი დროზე ვერ გარეცხა.

გრეისი და ტომი ცდილობდნენ ბავშვების დაგვიანებით ჩამოსვლისათვის ყურადღება არ მიექციათ და ჩვეულებისამებრ განაგრძობდნენ საშობაო სამზადისს. შეიძინეს უამრავი შესანიშნავი საჩუქარი, რომელთა ღირებულება ორ-სამჯერ აღემატებოდა ტომის მამის წლიურ შემოსავალს, როცა ტომი თედის ხელა იყო და აჭარბებდა თავად ტომის ერთი წლის წინანდელ შემოსავალსაც კი, ვიდრე იგი მიიღებდა "ჯენერალ მოტორზის"* ახალ, ყინვაგამძლე საღებავს, რამაც შესაძლებლობა მისცა ქალაქის გარეუბანში ეყიდა ისეთივე მდიდრული სახლი, როგორიც მისი მშობლებისა იყო. აუცილებლობის შემთხვევაში ისინი ცალკე გადავიდოდნენ და შვილები დამოუკიდებლად იცხოვრებდნენ.

სამუსიკო ოთახის კარს უკან იდგა საგულდაგულოდ დამუშავებული, გემბანის ფორმის ხე, ასევე პიანინოს სკამი და პიანინო. ხის გარშემო იატაკი მოფენილი იყო ლენტებით მორთული სხვადასხვა ფორმისა და ზომის სასაჩუქრე ყუთებით. ერთი ტომს ეკუთვნოდა, ერთი გრეისს _ მსახურებისთვისაც შეეძინათ, უმეტესობა კიYთედისა და ქეროლაინის იყო. დიდ ყუთში ქეროლაინისთვის იდო უძვირფასესი ზღვის წავის ბეწვის ქურქი. კიდევ უფრო ძვირადღირებული იყო სამკაული, რომელიც შედგებოდა ოპალის გულსაბნევისგან, ოპალისა და ოქროს ფილიგრანულად ნაკეთები სამაჯურისგან და ასევე ოპალის ბეჭდისგან, რომელიც ალმასის თვლებით იყო გარშემორტყმული.

გრეისის საყვარელი ქვა იყო ოპალი, რომელიც ამჯერად თავისთვის არ უყიდია. დედა ქალიშვილს აღმერთებდა და ცქერით დატკბებოდა, როდესაც ოპალის სამკაული ქეროლაინს დაამშვენებდა. ოთახში ეწყო აბრეშუმის წინდებით სავსე კოლოფები, თეთრეული, ხელთათმანები და ცხვირსახოცები. თედისთვის შეეძინათ "ბალზაკის" უძვირფასესი, სამასდოლარიანი საათი; ძვირადღირებული მოელვარე ჩანთა, ახალი რკინის ხელჯოხი გოლფის სათამაშოდ და ბოლო მოდელის პორტატული ფონოგრაფი*.

ვაჟიშვილი კი ყველაზე მეტად ავტოფარეხში გადამალულ საჩუქარს უნდა გაეოცებინა _ შავი ფერის სედანი* "გორჰამი" უფრო თანამედროვედ და უკეთ გამოიყურებოდა, ვიდრე თვით ტომის ერთი წლის მანქანა, რომელიც სასაჩუქრე მანქანის გვერდით იდგა. თედს შეეძლო მანქანა მხოლოდ არდადეგებისას ეტარებინა, ვინაიდან უნივერსიტეტში აკრძალული იყო სტუდენტებისათვის კერძო მანქანის მართვა.

მას შემდეგ, რაც თედი სამის გახდა, ხოლო ქეროლაინი კი ერთის, ქართერების ოჯახში ტრადიციად დამკვიდრდა _ შობის წინადღეს ბავშვების წინდები დაეკიდათ და იაფფასიანი საჩუქრებით გამოეტენათ. ტომი და გრეისი ფიქრობდნენ, თუUამ ტრადიციას წელსაც დაიცავდნენ, ძალიან იმხიარულებდნენ და წინდებში ჩააწყვეს: მექანიკური ზანგის მოცეკვავე თოჯინა, მუსიკალური ზარდახშები, კნუტი, რომელსაც ზურგზე პატარა ღილაკი ჰქონდა და თითის დაჭერისას კნავილს იწყებდა და მრავალი მსგავსი რამ. გრეისის საფირმო ფრაზა იყო, _ პატარები ადრე უნდა დაწოლილიყვნენ, რათა სანტა კლაუსი არ გაქცეულიყო სახლიდან.

გამოირკვა, რომ და-ძმა ადრიანად ვერ დაიძინებდა _ ქეროლაინი სადილად წასვლას აპირებდა ბეატრის მარდოფთან და ბეატრისის ცხრამეტი წლის ძმასთან _ პაულთან, რომელიც მას შვიდის ნახევარზე მანქანით წაიყვანდა. თედი კი ორმა კურსელმა ჰოკეის მატჩზე დაპატიჟა. ბიჭს უნდოდა მამის მანქანით წასულიყო, მაგრა მამამ უთხრა, რომ ფეხის მუხრუჭი იყო გაფუჭებული _ თედი როგორმე დილამდე ავტოფარეხს არ უნდა გაჰკარებოდა.

თედმა და ქეროლაინმა წაუძინეს, შემდეგ კი ერთად წავიდნენ პაულ მარდოფის ელეგანტური “როდსტერით”* და მშობლებს შეჰპირდნენ, რომ მომდევნო ღამით შინ დარჩებოდნენ.

_ რა დროა ახლა? _ იკითხა გრეისმა და წიგნიდან ამოიჭყიტა, რომლის კითხვაც ნასადილევს დაიწყო და ჯერ მხოლოდ მესამე გვერდზე ჰქონდა გადაშლილი.

_ სამის ნახევარი! _ უპასუხა ქმარმა (შუაღამიდან მოყოლებული მას ყოველ თხუთმეტ-ოც წუთში უხდებოდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა).

_ რამე ხომ არ შეემთხვათ? _ თქვა გრეისმა.

_ ასე რომ იყოს, აუცილებლად შევიტყობდით.

_ ეს წარმოუდგენელია, _ თქვა გრეისმა, _ მაგრამ შესაძლოა ისეთ ადგილას მოუხდათ ავარია, რომ ამბის მომტანი არავინ იყო. ან... უკვე აღარ ვიცი რა ვთქვა. ჩვენ არც ის ვიცით, როგორი მძღოლია მარდოფის ვაჟი.

_ თედისხელა ბიჭები სისწრაფეზე გიჟდებიან, თან მანქანასაც საკმაოდ ოსტატურად დააქროლებენ.

_ რა იცი?

_ ბევრჯერ დავკვირვებივარ, ვიცი, როგორც დაჰყავთ.

_ კი მაგრამ, ყველას ერთნაირად ხომ არ დაჰყავს? ახლანდელი ბიჭები ძალიან დაუდევრები არიან.

_ კარგი რა, ნუ ღელავ! ალბათ მეგობრებს შეხვდნენ და დასანაყრებლად შეჩერდნენ, _ ტომი ადგა და უდარდელად მიუახლოვდა სარკმელს, _ მშვენიერი ღამეა, ცაზე ვარსკვლავებს დაითვლის კაცი, _ არადა, ცაში არც აუხედავს, მხოლოდ მანქანების ფარებს აყოლებდა თვალს. ტომი ისევ დაჯდა.

_ რომელი საათია? _ იკითხა გრეისმა.

_ ოცდაორი წუთია.

_ რის?

_ სამის!

_ მგონი, შენი საათი გაჩერდა. ერთი საათის წინათ არ მითხარი, სამის ნახევარიაო?

_ ჩემი საათი მშვენივრად მუშაობს, ალბათ ჩაგთვლიმა.

_ თვალი არ მომიხუჭავს.

_ დროა მოხუჭო. რატომ არ წვები?

_ შენ რატომ არ წვები?

_ არ მეძინება.

_ არც მე. ტომ, იმიტომ ვფხიზლობ, რომ წინდები ჩამოვკიდო, შენ კი უმიზეზოდ იტანჯავ თავს.

_ ვიდრე არ დაბრუნდებიან, ვერ დავიძინებ.

_ სულელურად იქცევი. არაფერია სანერვიულო, უბრალოდ, ერთობიან, დროს ატარებენ. შენც ხომ იყავი ოდესღაც ახალგაზრდა?

_ მე წესიერი ახალგაზრდა ვიყავი, _ ტომმა გაზეთი აიღო და შეეცადა გულისყურით წაეკითხა სავაჭრო ნაოსნობასთან დაკავშირებული სიახლეები.

_ ახლა რომელი საათია? _ იკითხა კვლავ გრეისმა.

_ ოთხს ხუთი წუთია აკლია.

_ ეგებ მთელი ღამით აპირებენ მარდოფებთან დარჩენას?

_ არა მგონია, ასეთ შემთხვევაში გაგვაფრთხილებდნენ.

_ როგორც ჩანს, ტელეფონის ზარით ჩვენს გაღვიძებას მოერიდნენ.

ხუთის ოც წუთზე ჭიშკართან მანქანა გაჩერდა.

_ ისინი არიან.

_ ხომ გითხარი, არაფერია სანერვიულო-მეთქი.

ტომი სარკმელს მიუახლოვდა და მხოლოდ ის შენიშნა, რომ მარდოფის ბიჭის მანქანის ფარები თითქოს გასკდა.

_ ფარები აღარ ანათებს, _ თქვა ტომმა, _ ჩავალ, ეგებ შეკეთება შევძლო.

_ არსადაც არ ჩახვალ! _ გადაჭრით თქვა გრეისმა, _ ასეთი ჩვეულება აქვს, როცა მანქანა გაჩერებულია ფარებს არ ანთებს, ენერგიას ზოგავს.

_ რატომ არ ამოდიან?

_ ალბათ, ხვალინდელ ამბებზე საუბრობენ.

_ ამოვიდნენ და აქ ილაპარაკონ. გავალ, ვეტყვი, არ გვძინავს.

_ არა, არ გინდა! _ თქვა გრეისმა უწინდებური ტონით და ტომიც სარკმელთან მორჩილად გაჩერდა.

ხუთი ხდებოდა, როცა ფარები აინთოOდა მანქანა ქვემოთ დაეშვა. ქეროლაინი ოთახში შევიდა და მშობლების დანახვისას გაოცებული გამომეტყველება მიიღო.

_ ღმერთო, კიდევ გღვიძავთ?

ტომი რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ გრეისმა გამჭოლი მზერით შეაჩერა.

_ გასულ შობაზე საუბარმა შეგვიყოლია, _ თქვა ქალიშვილმა.

_ თედი სადაა?

_ ჯერ არ დაბრუნებულა? რაც ჰოკეის დარბაზთან ჩამოვსვით, მას შემდეგ აღარ მინახავს.

_ კარგი, ახლა დაიძინე, _ თქვა დედამ, _ დაქანცული იქნები.

_ ისე რა. ბევრი ვიცეკვეთ. სადილი რომელზე გვექნება?

_ რვაზე.

_ კაი რა, დედა, ცხრაზე არ შეიძლება?

_ შობის დღეს ადრე უნდა ადგეს ადამიანი.

_ ვიცი, მაგრამ...

_ შინ ვინ მოგიყვანა? _ კითხა ტომმა.

_ რატომ მეკითხები? პაულ მარდოფმა და ბეატრისმა.

_ რაღაც მოუწესრიგებლად გამოიყურები.

_ ისეთ უხერხულ ადგილას მაიძულებდნენ ჯდომას, ყველაფერი ერთბაშად ამეწეწა, _ გოგონას საკუთარ ხუმრობაზე გაეცინა, ღამე მშვიდობისა უსურვა მშობლებს და საძინებლისკენ კიბეს ისე აუყვა, რომ დედ-მამისადმი მცირედი სითბოც კი არ გამოუმჟღავნებია.

_ მარდოფები, _ თქვა ტომმა, _ ვითომდა დახვეწილი ქცევებით იწონებენ თავს, არადა, სტუმრებს ასეთ საშინელ დღეში აგდებენ.

გრეისს არაფერი უთქვამს.

_ შენც უნდა დაწვე, _ თქვა ტომმა, _ მე თედს დაველოდები.

_ ეგებ წინდები დაგეკიდა?

_ დილით დავკიდოთ.

_ ვიდრე ფხიზლობ, არც მე დავწვები, _ თქვა გრეისმა.

_ კარგი, მაშინ წავიდეთ და დავიძინოთ. თედს ალბათ მეგობრები მოაცილებენ, მის დაბრუნებას უთუოდ გავიგებთ.

ექვს რომ ათი წუთი დააკლდა, თედი შინ შევიდა.

შვიდის ნახევრისთვის გრეისი უკვე ფეხზე იდგა და მსახურებს აფრთხილებდა, რომ სადილი ცხრისთვის გადაიდო. მან წინდები ბუხართან მიამაგრა და სამუსიკო ოთახში ყველაფერი შეამოწმა.

ცხრას წუთები აკლდა, როცა ტომი გამოჩნდა და ბავშვების გაღვიძება მოითხოვა.

_ მე გავაღვიძებ, _ თქვა გრეისმა და ზევით ავიდა. მან თედის ოთახის კარი შეაღო, შეიხედა და უჩუმრად გამოიხურა. მერე გოგონას ოთახში შევიდა. ქეროლაინს ძილისთვის თავი ვერ წაერთმია.

_ ახლავე უნდა ავდგე? ჭამის თავი არ მაქვს, მხოლოდ ყავას მოვსვამდი. მე და თედი პირველის ნახევრისთვის მარდოფებთან ვართ მიწვეულნი სასაუზმოდ. მინდა ერთი-ორი საათით გამოვიძინო.

_ კი მაგრამ, ძვირფასო, აღარ გახსოვს, ჩვენ ხომ პირველზე საშობაო სადილი გვაქვს?

_ თავს მართლაც უხერხულად ვგრძნობ, დედა, მაგრამ ვიფიქრე, სადილი ღამით გვექნებოდა.

_ ნუთუ საჩუქრების ნახვა არ გინდა?

_ ძალიან მინდა, ოღონდ ცოტა მოგვიანებით.

გრეისმა ერთხანს სამზარეულოში გასვლა და მზარეულის გაფრთხილება დააპირა, რომ სადილი პირველის ნაცვლად შვიდისთვის გადაიდო, მაგრამ უცებ გაიფიქრა, შუადღისით კარგად დანაყრებული ბავშვები სადილს საღამოს აღარ ისურვებდნენ.

ტომმა და გრეისმა მარტოებმა ისაუზმეს. კვლავ სასტუმრო ოთახში ისხდნენ, საუბრობდნენ, ხან ფიქრი გაიტაცებდათ, ხანაც უგულისყუროდ კითხულობდნე.

_ მგონი, ქეროლაინს უნდა დაელაპარაკო, _ თქვა ტომმა.

_ დაველაპარაკები, ოღონდ დღეს არა, დღეს ხომ შობაა?

_ მეც მინდა ერთი-ორი სიტყვა ვუთხრა.

_ ჰო, ძვირფასო, უნდა უთხრა, ოღონდ ახლა არა.

_ ვეჭვობ, ამ საღამოსაც არ აპირებენ შინ დარჩენას.

_ არა, შემპირდნენ სახლში ვიქნებითო. მშვენიერი საღამო გველის.

_ მეტისმეტად დარწმუნებულიც ნუ იქნები, _ თქვა ტომმა.

ნაშუადღევს ბავშვები თავიანთი ოთახებიდან გამოვიდნენ და მშობლების მისალმებას სითბოთი უპასუხეს. თედმა ფინჯანი ყავა მოსვა, ქეროლაინმა კი მოიბოდიშა, რადგან მარდოფებთან მიეჩქარებოდათ.

_ ვფიქრობდით, _ თქვა თედმა, _ როგორც ყოველთვის, შვიდზე ისადილებდით.

_ შობის დღეს მუდამ პირველზე ვსადილობთ, _ თქვა ტომმა.

_ დამავიწყდა, რომ შობაა, _ თქვა თედმა.

_ ეს წინდები თქვენთვისაა.

თედმა და ქეროლაინმა გამობერილ წინდებს შეხედეს.

_ ნაძვისხე მორთულია? _ იკითხა ქეროლაინმა.

_ მორთულია, _ თქვა გრეისმა, _ მაგრამ ჯერ წინდები ნახეთ.

_ ვნახავთ, ოღონდ სწრაფად, ძალიან ვჩქარობთ, დედა, _ თქვა ქეროლაინმა.

_ კარგი, _ თქვა გრეისმა და სამუსიკო ოთახში შევიდა.

მსახურები სულმოუთქმელად ელოდნენ კუთვნილ საჩუქრებს. ნაძვისხე თვალისმომჭრელად ბრჭყვიალებდა.

_ საჩუქრები გახსენი! _ უთხრა გრეისმა ქალიშვილს.

_ ახლა ყველას ვერ ვნახავ, _ თქვა ქეროლაინმა, _ მითხარი, რომელია განსაკუთრებული საჩუქარი.

უზარმაზარ ყუთს საფარებელი შემოხსნეს და ქურქი ქეროლაინის ხელში აღმოჩნდა.

_ ო, დედა, _ აღმოხდა ქეროლაინს, _ წავის ბეწვის ქურქი!

_ მიდი, ჩაიცვი! _ უთხრა მამამ.

_ ახლა არა, დრო არ გვაქვს.

_ ამას შეხედე! _ წამოიძახა გრეისმა და ძვირფასეულობის ყუთი გახსნა.

_ ოჰ, დედა! ეს ხომ ოპალებია?!

_ ჩემი უსაყვარლესი ქვაა, _ თქვა გრეისმა აუღელვებლად.

_ თუ წინააღმდეგი არავინაა, _ თქვა თედმა, _ ჩვენს დაბრუნებამდე საჩუქრების ნახვას გადავდებ. დარწმუნებული ვარ, ყველა საჩუქარი მომეწონება. ახლა კი, თუUჩვენი მანქანა კვლავ შესაკეთებელია, ტაქსი უნდა გამოვიძახო, მატარებლამდე რომ მივიდეთ.

_ მანქანით წახვალ! _ თქვა მამამ.

_ მუხრუჭი შეაკეთე?

_ მუხრუჭი წესრიგშია. ავტოფარეხთან მივიდეთ და თვითონ ნახე.

თედმა ქუდი და ქურქი აიღო, დედას აკოცა და გამოემშვიდობა.

_ დედა, _ თქვა მან, _ ვიცი, მაპატიებთ, რომ თქვენთვის და მამასთვის საჩუქრები არ მაქვს. ძალიან დაკავებული ვიყავი. გუშინ რომ ჩამოვედი, ვფიქრობდი, საჩუქრების შესაძენად დრო დამრჩებოდა, მაგრამ საღამოს ყველა მაღაზია დაკეტილი დამხვდა.

_ მაგაზე ნუ ნაღვლობ, _ თქვა გრეისმა, _ შობა ახალგაზრდებისთვისაა. მე და მამაშენს არაფერი გვაკლია.

მსახურებმაც მონახეს მათთვის განკუთვნილი საჩუქრები და მიმოიფანტნენ, თან აღტაცებულნი სკანდინავიურად იხდიდნენ მადლობას.

ქეროლაინი და დედა მარტონი დარჩნენ.

_ დედა, ეს პალტო ვისი შეკერილია?

_ “ჰენრი ლოიდის”*.

_ ისინი თითქმის ყველანაირი ბეწვისგან კერავენ, არა?

_ ასეა.

_ რომ გამოვცვალო, გეწყინება?

_ გამოცვალე, ძვირფასო. თუUსაჭირო გახდა, თანხაც დავამატოთ _ ხვალ ან ხვალზევით ქალაქში წავიდეთ. ნუთუ არ გინდა დღეს მარდოფებს ახალი ოპალის სამკაულით ეწვიო?

_ მგონი არ ივარგებს, შეიძლება შემთხვევით დამეკარგოს და გული ძალიან დამწყდება.

_ ვფიქრობ, მათი გამოცვლაც შესაძლებელია, _ თქვა გრეისმა, _ ახლა კი წასასვლელად მოემზადე.

ქეროლაინი დედის ნებას დაჰყვა და მკვირცხლად წავიდა. გრეისი კი საკუთარ თავთან მარტო დარჩა.

ტომმა ავტოფარეხის კარი გამოაღო.

_ რა ხდება მამა, ორი მანქანა გყავს? _ თქვა თედმა.

_ ახალი ჩემი არაა, _ თქვა ტომმა.

_ აბა, ვისია?

_ ეს ახალი მოდელი შენია.

_ მამა, შესანიშნავია, მაგრამ ძველივით გამოიყურება.

_ ჩემი საკმაოდ კარგია, მაგრამ შენი _ უკეთესი. როცა გაატარებ, დარწმუნდები. ჩაჯექი, საწვავი ჩასხმულია.

_ ჯობს, შენი მანქანით წავიდე.

_ რატომ?

_ მამა, ჩემი საოცნებო მოდელი სპორტული “როდსტერია”, ისეთი, როგორიც პაულ მარდოფისა, ოღონდ განსხვავებული ფერის. სხვა მანქანის შეძენა არ ღირს, ეგებ მიგებრუნებია ან გამოგეცვალა?

ტომს ერთხანს ხმა წაერთვა, შემდეგ ძალა მოიკრიბა და უთხრა:

_ კარგი, შვილო, ჩემი მანქანა წაიყვანე, მე კი მოვიფიქრებ, რა შეიძლება მოვუხერხო შენსას.

ქეროლაინი თედს უცდიდა, უცებ რაღაც გაახსენდა და დედას დაუძახა:

_ აქ შენი და მამას საჩუქარია _ ორი ბილეთი “მხიარულ ჯეინზე”. ეს პიესა გუშინ ვნახე, აუცილებლად მოგეწონებათ.

_ როდისაა? _ იკითხა გრეისმა.

_ ამ საღამოს, _ უპასუხა ქეროლაინმა.

_ კი მაგრამ, ძვირფასო, საღამოს სახლიდან გასვლას არ ვაპირებთ, ხომ დაგვპირდით, შინ ვიქნებითო?

_ პირობას შევასრულებთ, _ თქვა ქეროლაინმა, _ მაგრამ შეიძლება სტუმრები მოვიყვანოთ. დავუკრავთ, ვიცეკვებთ. მე და თედმა გადავწყვიტეთ, ჩვენმა ხმაურმა რომ არ შეგაწუხოთ, კარგი იქნება თუ სადმე წახვალთ.

_ ჩინებული იქნება თუ სტუმრებს მოიყვანთ, _ თქვა გრეისმა, _ თქვენი ხმაური ჩვენ არ შეგვაწუხებს.

_ დროა, შენ და მამამაც მიიღოთ სიამოვნება.

_ ჩვენთვის ნამდვილი სიამოვნება საღამოს თქვენთან ერთად გატარებაა.

_ მარდოფებმა ფაქტობრივად თავი დაგვაპატიჟებინეს, მე კი ვერ შევძელი მათთვის უარის თქმა, რადგან ჩვენდამი ძალიან თავაზიანები არიან. დედა, დამერწმუნე, პიესა აუცილებლად მოგეწონება.

_ სავახშმოდ შინ იქნებით?

_ მგონი კი, მაგრამ თუ შეგვაგვიანდა, ნუ დაგველოდებით. თუ გინდათ, რომ წარმოდგენიდან საინტერესო არაფერი გამოგრჩეთ, შინიდან შვიდის ოც წუთზე გადით. პიესის პირველი მოქმედება მართლაც რომ საუკეთესოა. ალბათ, მშივრები არ დავბრუნდებით, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის ცოტაოდენი საჭმელი გადაგვინახეთ.

ტომი და გრეისი საგულდაგულოდ გამზადებულ საშობაო ვახშამს უხალისოდ მიუსხდნენ. როცა დანაყრდნენ, უზარმაზარი ინდაური ხელუხლებელივით გამოიყურებოდა.

ტომმა მეუღლეს შეახსენა, რახან სადღესასწაულო დღეს თეატრში იყვნენ წასასვლელები, შინიდან შვიდის ათ წუთზე უნდა გასულიყვნენ და სასტუმრო მეტროპოლში ევახშმათ.

ეს დღე გრეისს ცხოვრებაში ყველაზე ხანგრძლივად მოეჩვენა. გრეისი და ტომი მატარებლისკენ ტაქსით გაემგზავრნენ. ქალაქისაკენ მიმავალნი მდუმარედ ისხდნენ. რაც შეეხება წარმოდგენას, რომლის შესახებაც ქეროლიანი დარწმუნებული გახლდათ, რომ დედას მოეწონებოდა, იყო სპექტაკლების “აკვნის მძარცველები” და “სექსი” ცუდი მიბაძვა.

სპექტაკლის დასრულებისას ტომმა თქვა:

_ ერთ მყუდრო კლუბში გეპატიჟები. მთელი დღე არაფერი გიჭამია, არ შეიძლება ასეთ ბრწყინვალე დღესასწაულზე კაცი გამოფიტული და მშიერი დადიოდეს. წყურვილმაც შემაწუხა.

ტომმა ექვსი ჭიქა სოდიანი ვისკი დალია, მაგრამ ადრინდელივით არ გახალისებულა. გრეისი სვამდა სოდიან ვისკსა და ლიქიორს, რომელმაც სასიამოვნოდ გაათბო და თავი მშვენივრად იგრძნო, თუმცა მატარებელს ჯერ გზის ნახევარიც არ გამოევლო, რომ სითბომ და კარგმა განწყობამ მიატოვა.

სასტუმრო ოთახი ისე საშინლად გამოიყურებოდა, თითქოს ეს-ეს არის ფონ კლუკის* არმიამ გადაუარაო. თედსა და ქეროლაინს ნაწილობრივ შეესრულებინათ პირობა _ შინ სტუმრები მოეწვიათ. მაგიდასა და იატაკზე ცარიელი ჭიქები და სიგარეტის ნამწვავები მიმოფანტულიყო. წინდები ლურსმნებიდან ჩამოეხიათ და ყველგან საჩუქრები ეყარა. გრეისის უსაყვარლეს ხალიჩაზე კი თვალს იტაცებდა ორი უზარმაზარი ამომწვარი ხვრელი.

ტომმა მეუღლეს მკლავზე წაავლო ხელი და სამუსიკო ოთახში შეიყვანა.

_ შენ არასოდეს გიჩქარია საკუთარი საჩუქრის გახსნა, _ უთხრა ტომმა.

_ მგონი, შენთვისაც უნდა იყოს რაღაც, _ თქვა გრეისმა, _ აქ სტუმრები არ შემოსულან.

ტომმა გრეისის შერჩეული საჩუქარი ნახა _ ალმასის სამაგრები და მანჟეტის ცვეთისსაწინააღმდეგო ღილები საზეიმო კოსტიუმისთვის. გრეისს კი მეუღლის ნაყიდი ოპალის ბეჭედი ერგო.

_ ო, ტომ! _ აღმოხდა ქალს.

_ ხვალ ღამით სადმე უნდა წავიდეთ, დროა მათ თავგასულობას წერტილი დავუსვათ, _ გადაჭრით თქვა ტომმა.

_ მაშ კარგად უნდა დავისვენოთ, ამაღამ მომთენთავ თავდავიწყებას მივეცეთ.

_ ზემოთ ამოსულს სასიამოვნოდ გაგაოცებ, _ ამაყად თქვა ტომმა.

***ჯაზური ასაკი** _ ეს იყო მოძრაობა, რომელიც დაიწყო 1920-იან წლებში და ხელი შეუწყო ჯაზური მუსიკისა და ცეკვის განვითარებას. ჯაზური ასაკის ხანა დასრულდა 30-იან წლებში დიდი დეპრესიის დაწყებისას, მაგრამ ამერიკულ პოპ-კულტურაში მრავალი ათეული წელი

ცოცხლობდა. ჯაზური მუსიკის მეშვეობით მეამბოხე ახალგაზრდობა ილაშქრებდა წინა თაობების კულტურული ტრადიციების წინააღმდეგ.

*რინგ ლარდნერი მოხუცებში ასაკთან ერთად გულისხმობს ტრადიციების მიმდევარ, თანამედროვე ცხოვრების რიტმს ჩამორჩენილ ადამიანებს.

***ჯენერალ მოტორზი** _ უმსხვილესი ამერიკული საავტომობილო კორპორაცია. დაარსდა 1908 წლის 16 სექტემბერს. შტაბ-ბინა მდებარეობს დეტროიტში.

***ფონოგრაფი** _ ხმის, ბგერის ჩასაწერი (და ჩაწერილი ბგერის მოსასმენი) ძველებური აპარატი.

***სედანი** _ მსუბუქი ავტომობილის ძარის ტიპი. კლასიკურ სედანს გააჩნია მკვეთრად გამოხატული სამი მოცულობა _ ძრავის ნაკვეთური, სალონი და საბარგული.

სიტყვა სედანი წარმოდგება ინგლისური სიტყვიდან ტახტრევანი. სხვა ვერსიით კი სიტყვა სედანი წარმოიშვა ფრანგული ქალაქის სედანის სახელწოდებიდან. აღნიშნული ქალაქი XIX საუკუნეში საგზაო ეტლების წარმოებაში სპეციალიზირდებოდა.

***როდსტერი** _ ორადგილიანი სპორტული ტიპის ავტომანქანა, გვერდითი მინებისა და სახურავის გარეშე, ანდა მოძრავი სახურავით.

*** ჰენრი ლოიდი** _ ეს სავაჭრო ბრენდი ასოცირდება მამაკაცის ხარისხიან და მოდურ ტანსაცმელთან, რომელიც გამიზნულია ყოველდღიური მოხმარებისთვის _ აქვს სპორტული დანიშნულება. კომპანია დააარსა საიალქნო სპორტის თაყვანისმცემელმა, მანჩესტერში მცხოვრებმა, წარმოშობით პოლონელმა _ ჰენრი სტრეჟელცკიმ.Hმისი პარტნიორი გახდა ანგუს ლოიდი, სწორედ მათ დააარსეს 1963 წელს აღნიშნული კომპანია.

***ფონ კლუკი (1848-1934)** _ გერმანელი მხედართმთავარი. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე გენერალი.

უილიამ კარლოს უილიამსი

უილიამ კარლოს უილიამსი (1883-1963) _ ამერიკელი მწერალი. წერდა ლექსებს, პოემებს, მოთხრობებს, ნოველებს, პიესებს, ეწეოდა მთარგმნელობითს საქმიანობას. უილიამსი პროფესიით პედიატრი იყო. მისმა პაციენტებმა ხშირად არც კი იცოდნენ ექიმის სამწერლო კარიერის შესახებ. უილიამსი ძირითადად ღამით წერდა. იგი დაუმეგობრდა ეზრა პაუნდს, რითაც პოეზიას კიდევ უფრო დაუახლოვდა.

1915 წელს უილიამსი გახდა ნიუ-იორკის მწერალთა იმ ჯგუფის წევრი, რომლებიც "სხვების" სახელით იყვნენ ცნობილნი. იგი დადაისტურ მოძრაობაში ჩაება. დადაიზმმა და სიურეალიზმმა დიდი გავლენა იქონია მასზე.

უილიამსმა სახელი იმითაც გაითქვა, რომ მუდამ მზად იყო, დახმარებოდა ახალგაზრდა პოეტებს და ხშირად აფინანსებდა უცნობ ავტორებს.

1963 წლის მაისში, გარდაცვალების შემდეგ, უილიამსს მიენიჭა პულიცერის ლიტერატურული პრემია, ამერიკელი პოეტების საზოგადოებამ კი დააწესა უილიამსის სახელობის ყოველწლიური პრემია.

დუელი

ისინი ჩემთვის ახალი პაციენტები იყვნენ, მხოლოდ მათი ვინაობა ვიცოდი.

_ გეთაყვა, რაც შეიძლება მალე ჩამოდით, ჩემი გოგონა ძალიან ავადაა.

ჩასულს დედამისი შემეგება _ მაღალი, სუფთა და ზრდილობიანი ქალი. იგი შეშინებული და აღელვებული იყო, უმწეოდ გამოიყურებოდა. მოკლედ მკითხა:

_ ექიმი ხართ? _ და ოთახში შემიძღვა, _ გვაპატიეთ, ექიმო, ოთახები ხშირად ინესტება და გოგონა სამზარეულოში გვყავს, _ იქ სითბოა.

ბავშვი მამის მუხლებზე, მაგიდასთან ახლოს იჯდა და თბილ ტანსაცმელში ისე შეეფუთნათ, აღარც კი ჩანდა. მამამ ფეხზე წამოდგომა სცადა, მაგრამ ვანიშნე, არ შეწუხებულიყო. პალტო გავიხადე, ხელსაწყოების ამოლაგებას შევუდექი. ძალიან ნერვიულობდნენ და დაეჭვებულნი აკვირდებოდნენ თითოეულ ჩემს მოძრაობას. როგორც მსგავსი შემთხვევებისას ხდება, ბევრი ვერაფერი მითხრეს გოგონას ავადმყოფობაზე. დიაგნოზი მე უნდა დამესვა, სწორედ ამისთვის მიხდიდნენ სამ დოლარს. ბავშვი პირდაპირ მჭამდა ცივი, დაჟინებული მზერით. არანაირ ემოციას არ გამოხატავდა, იყო თავისთვის, წყნარად. სახე ასწითლებოდა, სწრაფად სუნთქავდა. _ ცხადია, მაღალი სიცხე ჰქონდა. მას საოცარი, ხშირი ქერა თმა ამშვენებდა. ასეთი გარეგნობის ბავშვებს პროკლამაციებზე გამოსახავენ და მათს ფოტოებს საკვირაო გაზეთებში ბეჭდავენ.

_ მესამე დღეა სიცხე აქვს, _ დაიწყო მამამ, _ არ ვიცით, რისი ბრალია, ჩვენით ვმკურნალობდით, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. ეტყობა, სხვა დაავადებებმაც იჩინეს თავი. ვიფიქრეთ, თქვენ უკეთ დაადგენდით ავადმყოფობის მიზეზს.

როგორც ექიმებს სჩვევიათ, ჩაძიებით ვიკითხე:

_ ყელი სტკიოდა?

მშობლებმა ერთხმად მიპასუხეს:

_ არა! ამბობს ყელი არ მაწუხებსო.

_ ყელი ხომ არ გტკივა? _ მიუბრუნდა დედა შვილს.

ბავშვის სახის გამომეტყველება არ შეცვლილა, ჩემთვის თვალი არ მოუშორებია.

_ ყელი თუ შეუმოწმეთ?

_ ვცადე, _ თქვა დედამ, _ მაგრამ ვერაფერი დავინახე.

სკოლაში, სადაც გოგონა სწავლობდა, დიფთერიის უამრავი შემთხვევა იყო გამოვლენილი და შესაძლოა იქ გადაედო.

_ თავდაპირველად ყელი უნდა ვნახო, _ პროფესიული მანერით გავიღიმე, გოგონას სახელი გავიგე და ვუთხარი: _ მატილდა, პირი გამიღე და ყელში ჩამახედე!

ის კვლავ უძრავად იჯდა.

_ მიდი, რა! _ წავეპირფერე, _ პირი ფართოდ გააღე და ნება მომეცი, ყელში ჩაგხედო. ნახე, ხელში არაფერი მიჭირავს, _ ხელები გავშალე, _ მხოლოდ პირის გაღებას გთხოვ.

_ ასეთი მშვენიერი კაცი... _ ჩაურთო დედამ, _ ნახე, რა კეთილად გექცევა. დაუჯერე და გააკეთე,Eრასაც გეუბნება, არაფერს გატკენს.

ამ სიტყვების გაგონება საშინლად არ მესიამოვნა და სიბრაზისაგან კბილები გავაკრაჭუნე. რა აუცილებელი იყო "ტკენის" ხსენება? მაგრამ საკუთარ თავს ნება არ მივეცი, გავღიზიანებულიყავი. პირიქით, მშვიდად უნდა მესაუბრა. კვლავ შევეცადე, გოგონასთან საერთო ენა გამომენახა. როგორც კი ოდნავ მივუახლოვდი, ორივე ხელი კატის ბრჭყალებიანი თათებივით წამოიღო, სახიდან სათვალე ჩამომგლიჯა და ძირს დაახეთქა. გავიფიქრე, იქნებ არ გატყდა-მეთქი, მაგრამ ნამსხვრევები იატაკზე ბრჭყვიალებდა. მშობლები გააოცა ბავშვის საქციელმა და დაბნეულები ერთმანეთს მიაშტერდნენ. მათ მზერაში მობოდიშებაც იგრძნობოდა.

_ ცუდი გოგო ხარ, _ თქვა დედამ და გოგონა იდაყვით შეანჯღრია, _ ნახე, რა ჩაიდინე, ეს მშვენიერი კაცი...

ლამის გავგიჟდი, ისევ ამ სიტყვით რომ მომიხსენია.

_ გთხოვთ, მასთან ერთად ნუ მეძახით მშვენიერ კაცს. აქ გოგონას ყელის სანახავად მოვედი, შეიძლება დიფთერია ჰქონდეს და ამის გამო დაიღუპოს კიდეც. ბავშვს ეს არ ესმის.

_ მისმინე! _ მივმართე მატილდას, _ ყველანი პირის გაღებას ვუცდით, შენ კი არც ისეთი პატარა ხარ, რომ ეს ვერ გაიგო. აბა, შენით გააღებ პირს თუ სხვა ხერხს მივმართოთ?

ბავშვი კვლავ არ განძრეულა, არც სახის გამომეტყველება შესცვლია, სუნთქვა კი უფრო და უფრო უხშირდებოდა. თავაზიანობით მასთან ვერაფერს გავხდი, მაგრამ მიზნის მისაღწევად ყველანაირი ხერხი უნდა მეცადა. მშობლებს ავუხსენი, რომ ეს არცთუ უხიფათო იქნებოდა.

_ თუ იმას არ გააკეთებ, რასაც ექიმი გეუბნება, საავადმყოფოში მოგიწევს დაწოლა, _ მკაცრად გააფრთხილა დედამ.

ამ სიტყვების გაგონებისას გამეცინა და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რა კარგები არიან პატარები მშობლებთან შედარებით. მატილდა კი დათმობას არ აპირებდა და კვლავ აგრძელებდა ჩემს დაშინებას.

მამამისი ახოვანი კაცი იყო, შიშობდა გოგონასათვის რაიმე არ ევნო, რითაც ხელს მიშლიდა. რამდენჯერმე მიზანს თითქმის მივაღწიე, მაგრამ კაცის გამო ყველაფერი ფუჭდებოდა, რაც საშინლად მაღიზიანებდა. ამასთანავე, მამამისს მოსვენებას არ აძლევდა შიში იმისა, რომ ბავშვი შესაძლოა დიფთერიით ყოფილიყო დაავადებული და ცდილობდა, ყველანაირად

მომხმარებოდა. სწორედ ამ დროს დედამისი სამზარეულოში შემობრუნდა და ლამის გაგიჟდა, ბავშვის ძალით დამორჩილებას რომ ვცდილობდით.

_ მუხლიდან ჩამოსვით! _ ვბრძანე და გოგონას ორივე მაჯა დავუჭირე. მამამ, როგორც კი ჩემი მითითება შეასრულა, გოგონამ ყვირილი მორთო:

_ ვერ დამაბამთ, ხელი გამიშვით! _ შემაძრწუნებლად კიოდა, _ გაჩერდით, გაჩერდით, ჩემი სიკვდილი გინდათ?!

_ ასე როდემდე გაძლებს, ექიმო? _ იკითხა დედამ.

_ გარეთ გადი! _ უთხრა ქმარმა, _ მაშ, რა ვქნათ, გინდა, რომ ბავშვი დიფთერიით დაიღუპოს?!

_ კარგით, კარგით, გაუკავეთ ხელები! _ ვთქვი მე.

მარცხენა ხელით გოგონას თავი დავუჭირე და ვცადე, სამედიცინო ხის ფირფიტა კბილებში შემეძვრინა. მატილდა მებრძოდა და კბილებს მთელი ძალით აჭერდა ერთმანეთს. მოთმინების ფიალა ამევსო, თავი ხელში ვეღარ ამყავდა. როგორც იქნა ხის ფირფიტა კბილებში გავაძვრინე. პირი წამით გააღო, მაგრამ, ვიდრე რაიმეს დავინახავდი, კვლავ მოკუმა, უკანა კბილებით ფირფიტას ჩააფრინდა და, სანამ გამოღებას მოვასწრებდი, გატეხა.

_ არა გრცხვენია, ექიმთან როგორ იქცევი?! _ უსაყვედურა დედამ.

_ მომეცით კოვზი, ნებისმიერი! _ ვუთხარი დედამისს. ბავშვს პირიდან უკვე სისხლი სდიოდა. ენა გაჭრილი ჰქონდა **და** ისტერიკულად კიოდა. იქნებ ცოტა ხნით თავი დამენებებინა, _ დაწყნარდებოდა. მაგრამ... მე ვნახე ექიმების დაუდევრობით დაღუპული ორი ბავშვი, მსგავს შემთხვევას სათანადო ყურადღება რომ არ მიაქციეს. ვგრძნობდი, დიაგნოზი ახლავე უნდა დამესვა. შეიძლებოდა, ჩემი უმოქმედობით გოგონასთვის ზიანი მიმეყენებინა. სასიამოვნოც კი იყო იმის განცდა, რომ მას ვჯაბნიდი. პატარათა საშინელი მოდგმა! _ ისინი დაცულნი უნდა იყვნენ უმეცრებისგან, ესაა საზოგადოებრივი აუცილებლობა.

საბოლოოდ გოგონას ვძლიე. მძიმე ვერცხლისფერი კოვზი ყელში იძულებით ჩავუყავი და, სანამ პირს მოკუმავდა, დაჩირქებული გლანდები დავინახე. გოგონას არ უნდოდა გამემჟღავნებინა მისი საიდუმლო და შეუპოვრად მებრძოდა. სამ დღეს მალავდა ყელის ტკივილს, მშობლებს ატყუებდა, რომ ექიმი არ მიეყვანათ. ის ნამდვილად გააფთრებული იყო, სიმწრის ცრემლები უბინდავდა თვალებს. აქამდე თავს იცავდა, ახლა კი შემომიტია. _ ერთი სული ჰქონდა, მამის მუხლებიდან ჩამომხტარიყო და ყელში მწვდომოდა.

ჯეიმს ტარბერი

ჯეიმს ტარბერი (1894-1961) _ ამერიკელი იუმორისტი მწერალი. სახელი გაითქვა ნოველებითა და ნარკვევებით, ასევე კარიკატურების ხატვით. მისი სამწერლო კარიერა საკმაოდ უცნაურად დაიწყო. ერთხელ, თამაშისას, მისმა ძმამ უილიამმა ჯეიმს თვალში ისარი მოარტყა. ექიმებმა თვალის შენარჩუნება ვერ შეძლეს. დათრგუნული ჯეიმსი შინ იჯდა და საკუთარი განცდები ქაღალდზე გადაჰქონდა.

ჯეიმსის, როგორც კარიკატურისტის კარიერაც უჩვეულოდ დაიწყო. მისი ნახატები შინაურებმა სანაგვე ყუთში იპოვეს და გამოსაქვეყნებლად მიიტანეს.

ტარბერი გაზეთებთან თანამშრომლობდა. ერთ-ერთ ყოველკვირეულ გაზეთში ჰქონდა საკუთარი სვეტი, სადაც მიმოიხილავდა წიგნებს, პრესას, ფილმებს. სვეტის სათაური იყო "მრწამსი და კურიოზი".

მისტერ ფრებლი ცოლს გაურბის

მისტერ ფრებლი შუახნის მსუქანი ადვოკატია სდარსდალში. მას მრავალჯერ უცდია ეცდუნებინა მისი მბეჭდავი, რომ ერთად გაქცეულიყვნენ. _ მოდი, გავიქცეთ, _ ეუბნებოდა ადვოკატი, როდესაც კარნახისას მცირე პაუზას მოიხელთებდა. _ კარგი! _ თანხმდებოდა მბეჭდავიც.

ერთ წვიმიან დღეს მისტერ ფრებლი ჩვეულებრივზე სერიოზულად ალაპარაკდა:

_ ერთად გავიქცეთ, _ თქვა მან.

_ გავიქცეთ, _ უპასუხა მბეჭდავმა.

მისტერ ფრებლმა ჯიბეში გასაღებების ასხმულა ააჩხრიალა და ფანჯარაში გაიხედა.

_ ჩემი მეუღლე მოხარული იქნება, თუ თავიდან მომიცილებს.

_ გაყრაზე დაგთანხმდება? _ ჰკითხა მბეჭდავმა.

_ არა მგონია.

მბეჭდავს გაეცინა და დააყოლა:

_ მგონი თვითონ გსურს მეუღლის თავიდან მოცილება.

ვახშმობისას მისტერ ფრებლი უჩვეულოდ დუმდა. საათნახევრის შემდეგ, როცა ყავა მიირთვეს, მან საუბარი ისე წამოიწყო, გაზეთიდან თავი არ აუწევია.

_ მოდი, სარდაფში ჩავიდეთ.

_ რისთვის? _ იკითხა ცოლმა ისე, რომ წიგნისთვის თვალი არ მოუცილებია.

_ იქ არასდროს ვყოფილვართ.

_ სარდაფში ჩაუსვლელადაც შეიძლება ცხოვრების უკეთ მოწყობა, _ თქვა მისის ფრებლმა.

მისტერ ფრებლი რამდენიმე წუთს დადუმდა.

_ ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, _ განაგრძო საუბარი კაცმა.

_ რა გემართება? _ ვერაფერს ხვდებოდა ცოლი. _ იქ ცივა და თანაც არაფერია გასაკეთებელი.

_ შეგვეძლო ნახშირის ნატეხები მოგვეკრიფა და რაიმე გვეთამაშა, _ თქვა მისტერ ფრებლმა.

_ თამაში არ მსურს, _ უპასუხა ცოლმა, _ ვერ ხედავ, ვკითხულობ.

_ მისმინე, _ თქვა მისტერ ფრებლმა, _ რატომ არ გინდა სარდაფში ჩასვლა? იქაც შეგიძლია წაიკითხო.

_ იქ კითხვისთვის საკმარისი განათება არაა. სარდაფში ჩასვლას კი საერთოდ არ ვაპირებ. დანარჩენი თვითონ გადაწყვიტე.

მისტერ ფრებლმა ამოიოხრა და ხალიჩის კიდეს ფეხი წაჰკრა.

_ სხვების ცოლები სიამოვნებით ჩადიან სარდაფში. სამსახურიდან დაღლილი ვბრუნდები, შენ კი ჩემთან ერთად სარდაფში ჩამოსვლაც არ გინდა. ღმერთო ჩემო, სარდაფი ხომ შორს არაა, კინოში ან სადმე მსგავს ადგილას წასვლას ხომ არ გთხოვ?

_ არსად მინდა წასვლა! _ იყვირა მისის ფრებლმა.

მისტერ ფრებლი დივანის კიდეზე ჩამოჯდა.

_ კარგი, კარგი, _ თქვა და კვლავ გაზეთს მიუბრუნდა, _ ნება მომეცი, რაღაც გითხრა, ეს ნამდვილად მოულოდნელი იქნება შენთვის.

_ კიდევ დიდხანს უნდა ილაყბო?

_ მომისმინე, _ თქვა მისტერ ფრებლმა და ფეხი მოინაცვლა, _ მირჩევნია სიმართლე გითხრა, ვიდრე ბუჩქის ირგვლივ ვირბინო. შენგან მინდა გათავისუფლება, ჩემს მბეჭდავზე უნდა ვიქორწინო. განა რამეს ვაშავებ ამით? სიყვარული ისეთი გრძნობაა, ლაგამს ვერ ამოსდებ.

_ რაღაც ამდაგვარი ადრეც გითქვამს, _ თქვა მისის ფრებლმა, _ აღარ მინდა ამის ხელახლა მოსმენა.

_ უბრალოდ, მინდოდა გცოდნოდა, თუ რას ვფიქრობ, _ თქვა მისტერ ფრებლმა, _ მაგრამ შენ ყველაფერი დაიჯერე. ნუთუ მართლა გეგონა, რომ სარდაფში ჩასვლა და ნახშირით რაღაც სისულელის თამაში მეწადა?

_ წუთითაც არ დამიჯერებია, _ თქვა მისის ფრებლმა, _ ვხვდებოდი, ჩემი სარდაფში ჩატყუება და ჩაკეტვა გსურდა.

_ ყველაფერი მე გითხარი, თორემ ეს აზრადაც არ მოგივიდოდა.

_ არა, თვითონ მივხვდი. რატომღაც ყოველთვის წინ ვუსწრებ შენს ფიქრებს.

_ ჩემს ფიქრებს არასოდეს მიახლოებიხარ, ოდნავადაც კი.

_ ასე გგონია? ამ საღამოს, რაც სახლში შემოხვედი, ვიცოდი, რომ ჩემი სარდაფში ჩაკეტვა გინდოდა, _ მისის ფრებლმა მეუღლეს თვალები მიანათა.

_ მეტისმეტად აზვიადებ, _ გაღიზიანებით თქვა მისტერ ფრებლმა, _ ვერაფერს მიხვდი. სინამდვილეში ეს სულ ცოტა ხნის წინათ მოვიფიქრე.

_ არა, ეგ აზრი ქვეცნობიერად იყო შენში. ეტყობა, იმ მგრძნობიარე ქალმა შთაგაგონა.

_ სარკაზმი საჭირო არაა, _ თქვა მისტერ ფრებლმა, _ მისი რჩევა ნამდვილად არ მჭირდება, ისედაც უამრავი მრჩეველი მყავს. მან ამის შესახებ არაფერი იცის. ვაპირებდი მისთვის მეთქვა, მეგობრების მოსანახულებლად წავიდა და გზად კლდიდან გადაიჩეხა-მეთქი. ის მთხოვს, რომ გაგეყარო...

_ სასაცილოა, _ თქვა მისის ფრებლმა, _ ეს უბრალოდ სასაცილოა. შენ შეიძლება სარდაფში ჩამკეტო, მაგრამ გაყრაზე არასოდეს დაგთანხმდები.

_ ეს იცის. ვუთხარი, რომ მე ვგულისხმობ... მოკლედ ვუთხარი, რომ ვერ გავიყრებოდით.

_ ჩემი ჩაკეტვის ამბავი უკვე ამცნე?

_ უმჯობესია, ეს ჩვენს შორის დარჩეს. გრძნობებზე არასოდეს გვისაუბრია, არც ვაპირებ.

_ შეგიძლია მთელ მსოფლიოს გააგებინო. არაფერი მითხრა, ისედაც კარგად გიცნობ, _ თქვა მისის ფრებლმა.

მისტერ ფრებლმა სიგარეტს მოუკიდა და თქვა:

_ ნეტავ ეს საქმე უკვე მოთავებული მქონდეს.

_ ყოველთვის ხველება გიტყდება, როცა ასეთ სულელურ თემებზე ლაპარაკობ. რატომ არ მიდიხარ დასაძინებლად? ტყუილუბრალოდ იტანჯავ თავს.

_ დაწოლას არ ვაპირებ, მხოლოდ სარდაფში შენს ჩაკეტვაზე ვფიქრობ. ამაზე ნათლად როგორღა გაგაგებინო?!

_ მისმინე! _ იყვირა მისის ფრებლმა და წიგნი ძირს დაახეთქა, _ სარდაფში თუ ჩავალ, დაწყნარდები?! მაშინ მეღირსება სიმშვიდე?! დამტოვებ მარტო?!

_ კი, _ თქვა მისტერ ფრებლმა, _ მაგრამ შენი საქციელით ყველაფერს აფუჭებ.

_ რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, ყოველთვის მე ვაფუჭებ ყველაფერს. კითხვა შევწყვიტე, ვერასდროს ვიგებ, ესა თუ ის ამბავი როგორ მთავრდება, მაგრამ ეს შენთვის არაფერს ნიშნავს.

_ გინდა წიგნის კითხვა განაგრძო? _ ჰკითხა მისტერ ფრებლმა და თან სარდაფის კარი გააღო, _ პირველი ჩადი.

_ ოოხ! _ ამოიოხრა მისის ფრებლმა და კიბეს ჩაუყვა, _ წლის ამ დროს აქ ძალიან ცივა. სხვა ქმრები ცოლებს სარდაფში ზაფხულობით კეტავენ.

_ ეს შენს სურვილზე არაა დამოკიდებული, _ თქვა მისტერ ფრებლმა, _ ის ქალი გვიან შემოდგომამდე არ შემიყვარდება.

_ ახალგაზრდობაშივე ნებისმიერი შეიყვარებდა. ის ქალი წლებია შენს ირგვლივ ტრიალებს. ვერაფრით ვხვდები, რატომ დგანან სხვა მამაკაცები ყოველთვის შენზე მაღლა. აქ სიბინძურეა, რას აპირებ?

_ მინდა თავში ნიჩაბი ჩაგარტყა.

_ მართლა? გირჩევ ეგ აზრი თავიდან ამოიგდო. შენ რა, გამომძიებელს სამხილი გინდა ჩაუგდო ხელში? გადი ქუჩაში და რკინის ნაჭერი იპოვე, ან კიდევ რაიმე, რაიმე, რაც შენ არ გეკუთვნის.

_ კარგი, მაგრამ ქუჩაში რკინის ნაჭერს სად მოვნახავ?

_ თუ კარგად მოძებნი, აუცილებლად იპოვნი. ნუ დაიგვიანებ. _ არ ვაპირებ მთელ საღამოს ცივ სარდაფში დგომას.

_ კარგი, მალე დავბრუნდები.

_ გასვლისას კარი გაიკეტე! _ გაჰყვირა მისის ფრებლმა, _ რა არის, ბეღელში ხარ გაზრდილი?!

ო. ჰენრი

ო. ჰენრი (1862-1910) ფსევდონიმია უილიამ სიდნეი პორტერის, ცნობილი ამერიკელი მწერლის, პროზაიკოსის, პოპულარული ნოველების ავტორისა, რომელმაც გაჭირვებითა და ხიფათით სავსე ცხოვრების გზა განვლო. სკოლის დამთავრების შემდეგ შეისწავლა ფარმაცევტის საქმე, მუშაობდა აფთიაქში, შემდეგ ტეხასის ქალაქ ოსტინში მოანგარიშე-მოლარედ, დაბრალდა გაფლანგვა და წელიწადნახევარი მართლმსაჯულებას სამხრეთ ამერიკაში ემალებოდა. სასიკვდილო სენით დაავადებული მეუღლის გამო იგი დაბრუნდა შტატებში, სადაც გაასამართლეს და ხუთი წლის პატიმრობა მიუსაჯეს. შტატ ოჰაიოს ციხეში მან სამი წელი გაატარა. სწორედ საპყრობილეში დაიწყო ო. ჰენრიმ მოთხრობების წერა და მისმა პირველმა იუმორისტულმა მოთხრობამ "ჩიტირეკია დიკის საშობაო ნობათი" დასაბამი მისცა ამერიკულ ლიტერატურაში მახვილგონივრულ იუმორით სავსე ნოველებს მოულოდნელი დასასრულით.

ო. ჰენრის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, როგორც "მოკლე მოთხრობის" ჟანრის ოსტატს, 280-მდე მოთხრობის ავტორს, რომლის თხზულებათა სრულმა კრებულმა 18 ტომი შეადგინა.

"გოგონა"

962-ე ოთახის კარის მინაზე მოჩუქურთმებული ასოებით წაეწერათ: "რობინსი და ჰართლი, ბროკერები". თანამშრომლები უკვე წასულიყვნენ. ხუთის ნახევარი იყო და მხოლოდ დამლაგებლებიღა შემორჩენილიყვნენ ოცსართულიან შენობაში, რომელიც იმდენად მაღალი იყო, რომ წვერით ღრუბლებს ეთამაშებოდა. ნახევრად ღია სარკმელში ნიავის მსუბუქ დაქროლვაზე ისეთი სურნელი შემოდიოდა, როგორიც ლიმნის გათლისას დგება; გამონაბოლქვის, საწვავისა და ლიანდაგის განძელების სუნიც შეიგრძნობოდა.

ორმოცდაათი წლის ზომაზე მეტად მსუქანი, მაგრამ მოხდენილი ფრანტი რობინსი _ ძლიერ შეყვარებული პირველ ღამეებზე, სასტუმროს პალმებიან ოთახებზე, პროვინციელი კოლეგის წინაშე თვალთმაქცობდა, ვითომცდა სოფლურ, მშვიდ ცხოვრებაზე ოცნებობდა.

_ მთელ დღეს აუზთან გავერთოთ, _ თქვა მან, _ ვერანდაზე სოფლის ახალგაზრდობა შეიკრიბება. მთვარის შუქი. მთელი ღამით სმა.

ჰართლი იყო ოცდაცხრა წლის, კარგი შესახედაობის, გამხდარი, სერიოზული და ცოტა მკაცრი შესახედაობის ნერვიული კაცი.

_ კარგი იდეაა, _ თქვა ჰართლიმ, _ ჩვენ ყოველთვის შესანიშნავ საღამოებს ვატარებდით ფლორალჰერსტში, განსაკუთრებით ზამთრობით.

უეცრად კარში მამაკაცი შემოვიდა და ჰართლის მიუახლოვდა, თან თითქოს რაღაც იდუმალი ჰაერი შემოიყოლა.

_ მივაგენი მის საცხოვრებელს, _ ნახევრად ჩურჩულით თქვა მან და თითქოს ამ ტონმა მკვეთრად გაუსვა ხაზი ახალმოსულის დეტექტივობას.

დრამატული სიწყნარე ჩამოწვა. რობინსი მიხვდა, რომ ზედმეტი იყო და იქ მყოფთ თავაზიანად დაემშვიდობა.

_ აი, მისამართი! _ გაბედულად წარმოთქვა დეტექტივმა.

ჰართლიმ დეტექტივს საძიებო უბის წიგნაკიდან ამოხეული ფურცელი გამოართვა, სადაც ფანქრით ეწერა: “ვივიენ არლინგტონი, ნომერი 341, აღმოსავლეთის ქუჩა, მისის მაკკომუსის მდგმური”.

_ იქ ერთი კვირის წინ გადავიდა, _ უთხრა დეტექტივმა, _ მისტერ ჰართლი, თუ კვლავაც გსურთ ქალს უთვალთვალოთ და მასზე ახალი ინფორმაცია შეიტყოთ, გარწმუნებთ, ასეთ დავალებას ნებისმიერ დეტექტივზე უკეთ შევასრულებ. ეს დღეში მხოლოდ შვიდი დოლარი დაგიჯდებათ და კიდევ რაღაც უმნიშვნელო ხარჯები. დანახარჯს ყოველდღიურად წარმოგიდგენთ...

_ საკმარისია! _ შეაწყვეტინა ჰართლიმ, _ გამოძიების გაგრძელება საჭირო აღარაა, მხოლოდ მისამართის გაგება მინდოდა. რამდენი გადაგიხადოთ?

_ მხოლოდ ერთი დღის მომსახურების, _ თქვა დეტექტივმა, _ სულ ათი დოლარი.

ჰართლიმ თანხა გადაუხადა და დეტექტივი გაისტუმრა. შემდეგ ოფისი დატოვა, ბროდვეიზე ტაქსი გააჩერა და ძველ უბნამდე იმგზავრა, რომლის გაპარტახებული შენობები თავის დროზე ქალაქის სიდიადე და სიამაყე იყო.

ჰართლი რამდენიმე კვარტლის იქით, ახალი სტილით ნაგებ მრავალბინიან საცხოვრებელ

სახლთან შეჩერდა. არც თუ ისე ძვირფასი ქვებით მოკირწყლულ კარიბჭეზე მაღალფარდოვანი წარწერა ამოეკვეთათ: “ვალამბროზა”. შენობაზე გველივით მოიკლაკნებოდა სახანძრო კიბე, რომელიც დახუნძლული იყო ოჯახისათვის საჭირო ხარახურით, ზედ სარეცხიც შრებოდა. ეზოში გამოშლილი ბავშვები შუა ზაფხულის მცხუნვარე მზეში ყურისწამღებად ჭყიპინებდნენ. ათას წვრილმანში, აქა-იქ კაუჩუკის ნარგავები მოჩანდა, თითქოს უკვირდათ, რომელ სამყაროს განეკუთვნებოდნენ, _ მცენარეულს, ცხოველურს თუ ზებუნებრივს.

ჰართლიმ მაკკომუსის კარზე ზარი დარეკა. ურდული მკვეთრად გაწკაპუნდა და კარი ზანტად გაიღო, _ თითქოს სტუმართმოყვრულად, დაეჭვებითაც კი. ჰართლიმ სადარბაზოში შეაბიჯა და კიბეს აუყვა ზუსტად ისე, როგორც პატარა ბიჭი, რომელიც მანამ მიცოცავს ვაშლის ხეზე, სანამ მიზანს არ მიაღწევს.

მეოთხე სართულზე მან ვივიენი დაინახა, რომელიც ღია კარში იდგა. ვივიენმა თავის დაკვრით და ნათელი, გულწრფელი ღიმილით სტუმარი შინ შეიპატიჟა. მერე ფანჯარასთან სკამი დაუდგა, თავად კი მოხდენილად მოთავსდა საგულდაგულოდ შეფუთულ ტახტზე.

სანამ ლაპარაკს დაიწყებდნენ და ჰართლი ეტყოდა, რომ მისი არჩევანი იყო წუნდაუდებელი, გოგონას თვალი სწრაფად შეავლო _ კრიტიკულადაც.

ვივიენი იქნებოდა ასე ოცდაერთი წლის, გარეგნობით საქსონების შთამომავალი გეგონებოდათ. უხეში, ოქროსფერი თმა, საოცარი ფერთა გამით უბრწყინავდა. ღრმა, ზღვასავით ლურჯი თვალებით, ნაკადულში მობანავე სირინოზივით სამყაროს საოცარი სიმშვიდით შეჰყურებდა. მას ძლიერი აღნაგობა და ბუნებრივი მიმზიდველობა ჰქონდა. და ეს სისუფთავე, გულახდილობა გაგრძნობინებდათ, რომ რაღაც ტროპიკული იყო მასში. ის იყო უბრალო და ლაღი. გარშემომყოფნი ეთაყვანებოდნენ, როგორც იშვიათ ყვავილსა და ლამაზ, რძესავით თეთრ მტრედს.

მას ეცვა თეთრი კაბა და მუქი პიჯაკი, თითქოს მასკარადზე იმყოფებაო.

_ ვივიენ, _ თქვა ჰართლიმ და ვედრებით შეხედა, _ ჩემს ბოლო წერილს აღარ უპასუხეთ. ერთი კვირაა დაგეძებთ. რატომ დამტოვეთ ასეთ გაურკვევლობაში? ხომ იცოდით, რა მოუთმენლად ველოდი თქვენს ნახვას, მინდოდა თქვენზე რაიმე შემეტყო.

_ მისტერ ჰართლი, _ დაიწყო ვივიენმა გაუბედავად, _ ძლივს მოვიფიქრე, თუ რა უნდა მეპასუხა. თქვენი შემოთავაზების დადებითი მხარეები კარგად გავაცნობიერე და მეგონა, რომ

შემეძლო დაგთანხმებოდით, მაგრამ ბოლომდე დარწმუნებული ჯერაც არა ვარ, ვყოყმანობ. მე შეჩვეული ვარ ქალაქურ ყოფას და ვშიშობ, პროვინციაში ცხოვრებას ვერ შევეგუები.

_ ძვირფასო, განა თქვენთვის არ მითქვამს, რომ ყველაფერი გექნებათ, რასაც კი მოისურვებთ? ქალაქში, როცა გინდათ, მაშინ ჩადით, დაესწარით სპექტაკლებს, იარეთ მაღაზიებში, მოინახულეთ მეგობრები. შეგიძლიათ მენდოთ, განა ასე არაა?

_ ასეა, _ თქვა ვივიენმა და თვალები, საიდანაც გულწრფელობა ასხივებდა, ღიმილით შეანათა, _ ვიცი, რომ ყველაზე კეთილი კაცი ხართ ამ ქვეყნად და ნამდვილად იღბლიანი იქნება ის, ვინც თქვენთან ერთად იცხოვრებს. საკმაოდ კარგად გაგიცანით მონტგომერებთან ყოფნისას.

_ აა! _ წამოიძახა ჰართლიმ და გონება გაუნათდა, თითქოს ამ წამს მიხვდა რაზეცაა საუბარიო, _ მე კარგად მახსოვს ის საღამო, როდესაც გნახეთ მონტგომერებთან. მისის მონტგომერი მთელ საღამოს თქვენს გამონათქვამებს მიმეორებდა. არასოდეს დავივიწყებ იმ ვახშამს. გთხოვთ, ვივიენ, დამპირდით, რომ სახლში გამომყვებით. გპირდებით, ჩემთან უზომოდ ბედნიერი იქნებით.

გოგონამ ღრმად ამოისუნთქა და ხელზე დაიხედა.

უცებ ჰართლი ეჭვმა შეიპყრო.

_ მითხარით, ვივიენ, _ სთხოვდა ის დაჟინებით, _ ჩვენს შორის სხვა კაცი ხომ არ დგას?

გოგონას ლოყებსა და ყელზე ვარდისფერმა ალმა გადაურბინა.

_ ეს არ უნდა გეკითხათ, მისტერ ჰართლი. მაგრამ, რაკი ასეა, გეტყვით, არის ვიღაც სხვა, მაგრამ მას არაფერს დავპირებივარ.

_ მისი სახელი? _ მოსთხოვა ჰართლიმ მკაცრად.

_ თაუნსენდი.

_ რაფორდ თაუნსენდი?! _ სახე შეეჭმუხნა ჰართლის, _ მას მერე, რაც მისთვის გავაკეთე, როგორ გაბედა შენს გასაცნობად მოსვლა?!

_ მისი მანქანა ეს წუთია სადარბაზოსთან გაჩერდა. ის ჩემგან პასუხს ელის. ახ! აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე.

სამზარეულოში ზარის ხმა გაისმა. ვივიენი აჩქარდა, რომ კარი გაეღო.

_ აქ დარჩით! _ ბრძანა ჰართლიმ, _ მე მას ჰოლში მივიღებ.

თაუნსენდი ესპანელი დიდებულივით გამოიყურებოდა ნათელ ტვიდის სამოსში, პანამას

ქუდით და გრუზა, ხვეულა ულვაშით. ის კიბეს მოუყვებოდა, უკვე სამი სართული ამოევლო. ჰართლის დანახვაზე შეჩერდა და ბრიყვული გამომეტყველებით შეაცქერდა.

_ უკან გაბრუნდი! _ მტკიცედ განუცხადა ჰართლიმ და საჩვენებელი თითით კიბისკენ მიუთითა.

_ გამარჯობა, _ მიესალმა თაუნსენდი და თავი ისე მოაჩვენა, თითქოს გაიოცაო, _ რა ხდება? აქ რამ მოგიყვანა, შე ძველო?

_ გაბრუნდი! _ გაუმეორა ჰართლიმ უდრეკად, _ ნუ მაიძულებ, ჯუნგლების კანონით ვიმოქმედო! გინდა ნაკუწებად გაქციო? იცოდე, მოგკლავ!

_ მე აქ სანტექნიკოსის სანახავად მოვედი, სააბაზანოში მილი მაქვს შესაკეთებელი.

_ კარგი, _ თქვა ჰართლიმ, _ რა თქმა უნდა, ცრუობ, რომ შენი მუხანათური ზრახვანი დამალო. ახლა კი აქედან მოუსვი!

თაუნსენდი კიბეზე დაეშვა. ორპირი ქარი ქროდა.

_ ვივიენ, _ თქვა ჰართლიმ მტკიცე ტონით, _ უარი აღარ გამაგონოთ! ნუ ყოყმანობთ! წამომყევით!

_ როდის?!

_ ახლავე! როგორც კი გაემზადებით.

გოგონა აუღელვებლად იდგა ჰართლის წინ და თვალებში შეჰყურებდა.

_ იმაზე თუ დაფიქრებულხართ, რანაირად შემოვაბიჯო თქვენს სახლში, როცა ელოიზა იქაა?

ჰართლისთვის ეს ამბავი ისეთივე მოულოდნელი იყო, როგორც ქარის უეცარი ამოვარდნა. მან ზურგს უკან დაიწყო ხელები და ხალიჩაზე გაიარ-გამოიარა.

_ ის წავა! _ გადაჭრით თქვა ჰართლიმ, _ რატომ დავრთეEნება რომ, ჩემი ცხოვრება გაენადგურებინა? მისი გაცნობის შემდეგ თავს ჯოჯოხეთში ვგრძნობ. თქვენზე რომ შევიტყვე, შვება მომეცა. მართალი ხართ, ვივიენ, ელოიზმა მანამ უნდა დატოვოს სახლი, სანამ იქ მიგიყვან. ის აუცილებლად წავა! გადაწყვეტილია, სახლიდან გავუშვებ!

_ როდის გააკეთებთ ამას? _ ჰკითხა გოგონამ.

ჰართლიმ პირი მომუწა და წარბები შეყარა.

_ ამაღამ! _ თქვა ურყევად, _ ამაღამვე დავითხოვ.

_ მაშინ, ჩემი პასუხია, დიახ!

ვივიენი ტკბილად და გულწრფელად შეჰყურებდა თვალებში. ჰართლიმ ახლაღა ირწმუნა გოგონასი.

_ პატიოსანი სიტყვა მომეცით! _ აღელვებით თქვა ჰართლიმ.

_ პატიოსან სიტყვას გაძლევთ, _ გაიმეორა ვივიენმა მშვიდად.

კართან მისული ჰართლი შემობრუნდა და გოგონას ბედნიერი სახით შეხედა. ვივიენი მას ენდო და ეს ძლიერ ახარებდა.

_ ხვალ! _ თქვა ჰართლიმ და საჩვენებელი თითი დაუქნია, თითქოს დაემუქრა, რათა პირობა არ დაერღვია.

_ ხვალ! _ დაეთანხმა გოგონა და გაუღიმა.

საათსა და ორმოც წუთში ჰართლი ფლორალჰერსტის მატარებლიდან ჩამოვიდა. მარდად იარა და ათ წუთში ორსართულიანი სახლის ჭიშკარს მიადგა, რომელსაც ფართო, ლამაზი გაზონი ამშვენებდა. ეზოში შესულს ნახშირივით შავი, კოხტად დაწნული თმითა და თეთრ საზაფხულო კაბაში გამოწყობილი ქალი შეეგება, რომელიც ვნებიანად მოეხვია და ალერსით კინაღამ გაგუდა.

როდესაც ჰოლში შეჩერდნენ, ქალმა დაიწუწუნა:

_ დედა აქაა. ნახევარ საათში მანქანა წაიყვანს. სავახშმოდ გვესტუმრა, მაგრამ ვახშამი არ გვაქვს.

_ რაღაც მაქვს სათქმელი, _ თქვა ჰართლიმ, _ მშვიდად მინდოდა დაგლაპარაკებოდი, მაგრამ, რახან დედაშენიც აქაა, ახლავე გეტყვი.

ჰართლიმ ყურში რაღაც ჩასჩურჩულა.

მეუღლეს სულის შემძვრელი კივილი აღმოხდა. ჰოლში დედამისი შემოქანდა. შავთმიანი ქალი კვლავ კიოდა, თუმცა კივილი იყო ლაღი და მხიარული.

_ დედა! _ ყვიროდა ის აღტაცებით, _ ვივიენი დათანხმდა ჩვენთან მზარეულობას. აი, ის გოგონა, მონტგომერებს რომ ემსახურებოდა. ახლა კი, ბილი, ძვირფასო, ახლავე ჩადი სამზარეულოში და ელოიზა დაითხოვე, _ მთელ დღეს კვლავ სასმელს წრუპავდა.

ო. ჰენრი

საქმით გათანგული ბროკერის ქორწინების ამბავი

ჰარვი მაქსველის ოფისის საიდუმლო კლერკი _ ფითჩერი, ჩვეულებისამებრ სახის უსიცოცხლო გამომეტყველებით იჯდა. ცხრის ნახევარზე, კომპანიის მფლობელმა კარი მარდად შემოაღო, ახალგაზრდა სტენოგრაფისტ ქალბატონთან ერთად სწრაფად შემოვიდა და მისასალმებელი სიტყვები აჩქარებით წარმოთქვა: _ "დილა მშვიდობისა, ფითჩერ". მერე მზერა სამუშაო მაგიდას სტყორცნა, თითქოს ერთი სული ჰქონდა მაგიდაზე დახვავებული წერილებისა და დეპეშების გროვაში თავით გადაშვებულიყო და ჩაეყვინთა.

ახალგაზრდა ქალბატონი ერთი წელია მაქსველის სტენოგრაფისტად მუშაობდა. ის ისეთი ლამაზი იყო, მის სტენოგრაფისტობას ვერაფრით წარმოიდგენდი. ეცვა ღია ნაცრისფერი ლაბადა, ვიწრო კაბა კი ქალის ფიგურას გამოჰკვეთდა და საოცრად უხდებოდა. ეხურა კოხტა, ოქროსფერ-მონაცრისფრო ფრთით მორთული ჩალის ქუდი. ამ დილით მის იერში თითქოს სიმორცხვე შეპარულიყო, თვალები კი მეოცნებე ქალიშვილივით გაბრწყინებოდა და ლოყებზე ახლად აყვავებული ატმის ყვავილის ფერი დასდებოდა. ძალზედ ბედნიერად გამოიყურებოდა. თან თითქოს რაღაცაზე ჩაფიქრებულიყო.

ფითჩერმა ქალში ცვლილება შენიშნა, იმის მაგივრად რომ გვერდით ოთახში გასულიყო და სამუშაო მაგიდას მისჯდომოდა, ქალი თითქოს დროს განგებ აჭიანურებდა და ერთხანს მაქსველის სამუშაო მაგიდასაც კი მიუახლოვდა.

"მექანიკური მოწყობილობა", რომელიც სამუშაო მაგიდას შეზრდოდა, კარგა ხანია საკუთარ თავს აღარ ეკუთვნოდა _ აღარც ის ახსოვდა, რომ მამაკაცი იყო. საქმით გადატვირთული ნიუ-იორკელი ბროკერი ფეხების ნაცვლად, თითქოს ბორბლებზე შემდგარიყო და რობოტივით დადიოდა.

_ ეს რა არის, სიახლეა? _ იკითხა მაქსველმა მკაცრი ტონით. მის სამუშაო მაგიდაზე ისე ეყარა გახსნილი წერილები, თითქოს მაგიდის კიდეებზე თოვლს ჩამოებარდნა. მზერაში რაღაც უნდობლობა შეჰპარვოდა.

_ არა, არაფერი, _ უპასუხა სტენოგრაფისტმა და ფითჩერისკენ ღიმილით გადაინაცვლა, _ მისტერ ფითჩერ, მისტერ მაქსველს ახალ სტენოგრაფისტზე გუშინ არაფერი უთქვამს?

_ დიახ, მითხრა, _ დაუდასტურა ფითჩერმა, _ მითხრა რომ ახალი სტენოგრაფისტი სჭირდება. სააგენტოს შევატყობინე, რომ კანდიდატები დღეს დილისთვის გამოეგზავნათ. აი, უკვე ათს თხუთმეტი აკლია და თვალითაც არავინ მინახავს.

_ სანამ ჩემს ადგილს ახალი სტენოგრაფისტი დაიკავებს, საქმეს ძველებურად მივხედავ, _ თქვა ახალგაზრდა ქალბატონმა, სამუშაო მაგიდასთან მივიდა და ოქროსფერ-მონაცრისფრო ფრთით დამშვენებული ჩალის ქუდი ჩვეულ ადგილზე დაკიდა.

საქმეში ყელამდე ჩაფლულ ბროკერს ხანდახან თავისუფალი დროც გამოერევა, მაგრამ ელვისუსწრაფესად მქროლავი წუთები და წამები ბროკერს ხელებით ებღაუჭებიან, ბოჭავენ და თავის დაძვრენის საშუალებას არ აძლევენ. ეს დღეც ჰარვი მაქსველისთვის ერთი ქანცგამცლელი დღეთაგანი იყო. ტელეგრაფის აპარატიდან დეპეშები ხვეულად ცვიოდა, თითქოს ხორცსაკეპ მანქანაში ხორცს ატარებენო. სამუშაო მაგიდაზე ტელეფონი წუთითაც არ გაჩერებულა და ქრონიკულად ზრიალებდა. თანამშრომლები დეპეშებითა და წერილებით წინ და უკან საქმიანად, გამალებით მიმოდიოდნენ. მდივნები ისე ფაცაფუცობდნენ, როგორც შტორმისას მეზღვაურები. მათ შემყურეს ისეთი შთაბეჭდილება გრჩებოდა, თითქოს გრიგალს, მეწყერს, ზვავს, ვულკანებს და მსგავს მყუდროების დამრღვევ ბუნებრივ მოვლენებს ერთიანად მოეყარა თავი ბროკერთა ოფისში. მაქსველმა გორგოლაჭებიანი სკამით კედლისკენ ისეთი მოძრაობით ჩაიჩოჩა, როგორიც ბალერონებს სჩვევიათ. მერე ტელეგრაფის აპარატიდან ტელეფონს გადასწვდა, სამუშაო მაგიდიდან კი ელვის უსწრაფესად კართან გაჩნდა.

დაძაბულობა და მუშაობის ტემპი ოფისში უფრო და უფრო მატულობდა.

_ აი, ქალბატონი სტენოგრაფისტთა სააგენტოდან ჩვენს შეთავაზებას გამოეხმაურა! _ თქვა ფითჩერმა.

მაქსველი სკამიანად შემობრუნდა, ხელები ქაღალდებით და ტელეგრაფის ლენტებით ჰქონდა სავსე.

_ რა აინტერესებს? _ იკითხა მაქსველმა წარბშეკვრით.

_ სტენოგრაფისტის თანამდებობა, _ უპასუხა ფითჩერმა, _ გუშინ მითხარით, რომ სააგენტოში დამერეკა. აი, ერთი უკვე გამოგვიგზავნეს.

_ ნუ მაგიჟებ, ფითჩერ! ასეთ რამეს რატომ დაგავალებდი? _ გაიკვირვა მაქსველმა, _ მის ლესლი ამ საქმეს შესანიშნავად ართმევს თავს და სანამ იგი აქ ყოფნას მოისურვებს, სტენოგრაფისტის თანამდებობა მას ეკუთვნის. ფითჩერ, ახლავე გააუქმე მოთხოვნა!

ახლადმოსულმა ქალმა ოფისი დატოვა. ფითჩერმა შესაფერი მომენტი მონახა და ბუღალტერს გადაულაპარაკა:

_ "მოხუცი კაცი" სულ უფრო და უფრო დაბნეული და გულმავიწყი ხდება.

ოფისში საქმეს საქმე ემატებოდა. მაქსველის კლიენტები მსხვილი ინვესტორები იყვნენ. აუარება შეკვეთას იღებდნენ _ მერცხლებით გადაჭედილ ცაზე რამდენი ფრინველიაცაა, სწორედ იმდენს. მაქსველი კი მექანიკურ მანქანასავით მუშაობდა _ თავბრუდამხვევი სიჩქარითა და გასაოცარი სიზუსტით. გადაწყვეტილებებს წამში იღებდა, შეცდომას არასოდეს უშვებდა და მუშაობისთვის მუდმივად მზადყოფნაში იყო. საქმე საათის მექანიზმივით დალაგებული და აწყობილი ჰქონდა. სესხი, დაგირავება, უსაფრთხოება _ მოკლედ, აქ ტრიალებდა მსოფლიოს ბიზნესი. ეს ქარბორბალა მხოლოდ წახემსებისას ჩაცხრა.

მაქსველი სამუშაო მაგიდასთან იდგა, ხელები სავსე ჰქონდა დეპეშებით და ჩანაწერებით, შუბლზე თმა უწესრიგოდ ეყარა და მარჯვენა ყურზე კალამი ჩამოედო. ღია სარკმლიდან ეზოში მეეზოვე მოჩანდა, ჰაერში ზაფხულის სითბო ტრიალებდა და დროდადრო ტკბილი, იასამნის მივიწყებული არომატი შემოდიოდა, რომელმაც ბროკერს წამით მოძრაობა წაართვა. ეს საოცარი სურნელი, გვერდით ოთახში, მარტოდ-მარტო მყოფი მის ლესლისგან მოდიოდა და ქალს თითქოს სიცოცხლით ავსებდა. ფინანსების სამყაროდ ქცეული ოფისი, მცირე ხნით უმნიშვნელო გახდა. ახლა მაქსველი ქალზე ფიქრობდა. ლესლი კი მაქსველისგან სულ რაღაც ოციოდე ნაბიჯით იყო დაშორებული.

_ ახლავე ვკითხავ, _ თქვა მაქსველმა ხმამაღლა, _ რა ხანია ამას ვაპირებ, მაგრამ მოუცლელობისგან ვერაფრით მოვახერხე.

მაქსველი აჩქარებით გაემართა სტენოგრაფისტის მაგიდისკენ.

ქალმა ღიმილით ამოხედა მაქსველს. ლოყები ვარდისფრად შეჰფაკვლოდა, თვალები კი სიკეთით უბრწყინავდა. მაქსველი იდაყვით დაეყრდნო ქალის სამუშაო მაგიდას. ორივე ხელში კვლავ ქაღალდები ჰქონდა ჩაბღუჯული, კალამი კი ყურზე მოკალათებულიყო.

_ მის ლესლი, _ დაიწყო მან აჩქარებით, _ აი, როგორც იქნა თავისუფალი წუთი გამოვნახე. რაღაც უნდა გითხრათ, ახლავე. თანახმა ხართ ჩემი ცოლი გახდეთ? მე არ შემიძლია გრძნობების სხვების მსგავსად გამოხატვა, მაგრამ გპირდებით, მთელი სულით და გულით მეყვარებით. სწრაფად მიპასუხეთ, თორემ შესვენება იწურება.

_ ღმერთო ჩემო, რაზე საუბრობ?! _ ვერ მიმხვდარიყო ახალგაზრდა ქალი და გაოცებისგან თვალებგაფართოებული შეჰყურებდა მაქსველს.

_ ნუთუ ვერ ხვდები?! _ უთხრა მაქსველმა დაჟინებით, _ მინდა რომ ცოლად გამომყვეთ. მის ლესლი, მე თქვენ მიყვარხართ! ამის თქმა დიდი ხანია მინდოდა. ვიღაც ტელეფონზე მირეკავს. ფითჩერ, უთხარი ერთი წუთით დამელოდონ! მის ლესლი, თქვენს პასუხს მოუთმენლად ველი.

სტენოგრაფისტი ერთხანს გაოგნებული იჯდა, შემდეგ განცვიფრებული თვალებიდან ცრემლი ჩამოუგორდა, გაეღიმა და მაქსველს კისერზე მოეხვია.

_ ახლა კი ვხვდები, _ ქალის ნათქვამში საოცარი სითბო იგრძნობოდა, _ ეს შენი ცხოვრების წესია, _ მხოლოდ საქმე, საქმე და არაფერი საქმის გარდა. თავიდან ეს მაფრთხობდა, ძლივს შევეგუე. ნუთუ მართლა აღარ გახსოვს? ჩვენ ხომ გუშინ, საღამოს რვა საათზე, კუთხის პატარა ეკლესიაში დავიწერეთ ჯვარი.

სოფიკო დაუშვილი დაიბადა 1989 წლის 30 მარტს თბილისში.

სწავლობს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის მაგისტრატურის II კურსზე.

სოფიკოს ლიტერატურული დებიუტი შედგა 2000 წელს ჭაბუა ამირეჯიბის გაზეთ "განახლებულ ივერიაში". მას შემდეგ მისი მოთხრობები, მინიატურები და თარგმანები სისტემატურად იბეჭდება პერიოდულ გამოცემებში: "ჩვენი მწერლობა", "ცისკარი", "ლიტერატურა და ხელოვნება", "ნაკადული", "დილა", "ნერგი" და სხვ.

გამოცემული აქვს მოთხრობების 3 კრებული: "ბილიკი" (2001), "პორტრეტული ჩანახატები" (2002), "ტრაბახას ამბავი" (2006).

სოფიკოს ნაწარმოებები თარგმნილი და გამოქვეყნებულია ინგლისურ, იაპონურ და რუსულ ენებზე.

2002 წელს გაიმარჯვა გაერთიანებული ერების ქალთა განვითარების ფონდის ლიტერატურულ კონკურსში "მე რომ მშვიდობის ელჩი ვიყო".

2002 წელს მიეკუთვნა საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდია ლიტერატურის სფეროში.

2003 წელს გაიმარჯვა გაერთიანებული ერების ქალთა განვითარების ფონდის კონკურსში საგაზეთო სტატიებისათვის "ახალგაზრდობა და მშვიდობა".

2005 წელს ფონდ "ვურდენკინდისა" და გაზეთ "ნერგის" ლიტერატურულ კონკურსში დაიმსახურა სპეციალური პრიზი.

2005 წელს გაიმარჯვა მოზარდთა ლიტერატურულ კონკურსში "ალუბლობა" _ სოფიკოს "ბილიკი" აღიარებულ იქნა საუკეთესო მინიატურად.

2007 წელს გაიმარჯვა მოზარდთა ლიტერატურულ კონკურსში "ალუბლობა" _ ნომინაციაში საუკეთესო ზღაპარი.

2010 წელს გაიმარჯვა ქალაქ თბილისის მერიისა და საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ ორგანიზებულ გურამ რჩეულიშვილის სახელობის ლიტერატურულ კონკურსში.